2014 წელი

სოციალური კვლევისა და
ანალიზის ინსტიტუტი

პანკისის ხეობის მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა სხვადასხვა სოციალური პრობლემის მიმართ

კვლევის ანგარიში

სარჩევი

ძირითადი შედეგები 3

I. კვლევის მეთოდოლოგია 10

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა 10

რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა 11

II. სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები 12

III. ურთიერთობები ოჯახში 18

3.1. ზოგადი მიმოხილვა 18

3.2. ოჯახში გადაწყვეტილების მიმღები პირი 24

3.3. ოჯახში მოვალეობების განაწილების მოდელი 25

3.4. კონფლიქტი მეუღლესთან/პარტნიორთან 28

IV. გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება 35

V. ქონებრივი ურთიერთობები და ოჯახში კონფლიქტები 40

5.1 ქონებრივი ურთიერთობები 40

5.2. ურთიერთობები და კონფლიქტები ოჯახში 42

VI. ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები და თერაპიის აგენტები; მამაკაცთა მონაწილეობა მეუღლეთა ორსულობასთან და აბორტთან დაკავშირებულ პრაქტიკებში 48

6.1. ფიზიკური და ფსიქიკური დისკომფორტი და თერაპიის აგენტები 48

6.2. მამაკაცების მონაწილეობა მეუღლეთა ორსულობასთან და აბორტთან დაკავშირებულ პრაქტიკებში 49

VII. დამოკიდებულება ტრადიციული/კონსერვატული პრაქტიკების მიმართ 52

ძირითადი შედეგები

სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

- კვლევის ფარგლებში სულ გამოიკითხა 217 რესპონდენტი პანკისის ხეობაში, აქედან 76.5%-მდედრობითი სქესის (166 რესპონდენტი), ხოლო 23.5%-მამრობითი სქესის (51 რესპონდენტი). რესპონდენტების ასაკი, ძირითადად, 35-54 წელი იყო.
- სამიზნე ჯგუფიდან უმრავლესობა ქისტი იყო (85.7%). ეთნიკურად ქართველების ხვედრითი წილი შეადგენდა 12.4%-ს. გამოკითხულთა უმრავლესობა ტრადიციული ისლამის მიმდევარია (87.6%), ვაჰაბიტების პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ 2.3%-ს შეადგენს. საინტერესოა, რომ ტრადიციული ისლამის მიმდევარი მდედრობითი სქესის რესპონდენტებს შორის მეტია, ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტებს შორის. ვაჰაბიტი რესპონდენტების უმრავლესობა კი მამრობითი სქესისაა.
- კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამიზნე ჯგუფისთვის დამახასიათებელია გაფართოებული ოჯახები, რომლებიც, ძირითადად, 6 და მეტი წევრისგან შედგება და რომლებშიც რამდენიმე თაობა ერთ შინამეურნეობაში ცხოვრობს. გამოკითხულთაგან უმრავლესობა დაოჯახებულია.
- რესპონდენტების დიდ ნაწილს პირადი შემოსავალი არ აქვს. რაც შეეხება შემოსავლის საშუალო მაჩვენებელს (Mean), ის 221.2 ლარს უდრის. კაცების შემოსავლის საშუალო მაჩვენებელი საგრძნობლად აღემატება (369.2 ლარი) ქალების შემოსავლის საშუალო მაჩვენებელს (176 ლარი).
- როგორც მოსალოდნელი იყო, ოჯახებში მთავარი შემომტანი მამაკაცია. ოჯახების საშუალო ყოველთვიური შემოსავლების საშუალო მაჩვენებელი (Mean) 576.8 ლარს უდრის. ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომლებსაც შემოსავალი საერთოდ არ აქვს, 1.8%-ია.

გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება

- კითხვარი მოიცავდა დებულებებს გენდერული თანასწორობის ასპექტების შესახებ[1]. ანალიტიკური დაჯგუფებისას გამოიყო დებულებების უარყოფითი შეფასების ველი (საშუალო მაჩვენებელი: 1.0-2.5), საშუალო შეფასების ველი (საშუალო მაჩვენებელი: 2.6-3.5) და დადებითი შეფასების ველი (საშუალო მაჩვენებელი: 3.6-5.0). როგორც მონაცემები ცხადყოფს, დადებითი შეფასების ველში ვერცერთი დებულება ვერ მოხვდა, ეს ნიშნავს, რომ ჩამოთვლილი დებულებების მიმართ დათანხმებების რაოდენობა მაღალი არ არის.
- მონაცემების სქესის ჭრილში განხილვისას რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა:

[1] რესპონდენტებს უნდა დაეფიქსირებინათ საკუთარი დამოკიდებულება დებულებასთან დაკავშირებით 5 ბალიან სკალაზე, სადაც 5 ნიშნავდა სრულ დათანხმებას, 1 - არ დათანხმებას, 3 კი იყო შეფასების საშუალო, ნეიტრალური წერტილი. მონაცემების უკეთ აღქმისთვის გაანალიზდა შეფასებათა საშუალო მაჩვენებლები (Mean).

- ✓ მდედრობითი სქესის რესპონდენტებს შორის დებულება „კარგი ცოლი ემორჩილება ქმარს/პარტნიორს მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმება“ უარყოფითი შეფასების ველშია, ხოლო მამრობითი სქესის რესპონდენტებს შორის - საშუალო შეფასების ველში. ეს ნიშნავს, რომ ქალი რესპონდენტები უფრო ხშირად არ ეთანხმებიან ამ დებულებას;
- ✓ დებულება „უნდა დავემორჩილოთ ადათ–წესებს, რომელთა მიხედვითაც ქალისა და კაცის თანასწორობა დაუშვებელია“ ქალ რესპონდენტებს შორის უარყოფითი შეფასების ველშია, ხოლო კაც რესპონდენტებს შორის - საშუალო შეფასების ველში. ეს ნიშნავს, რომ ქალი რესპონდენტები უფრო ხშირად არ ეთანხმებიან ამ დებულებას.
- ✓ დებულება „ოჯახი უნდა შეინარჩუნო ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ქმარი ძალადობს ცოლზე“ ორივე სქესის რესპონდენტებს შორის უარყოფითი შეფასების ველშია, თუმცა ქალები უფრო უარყოფითად აფასებენ ამ დებულებას (საშუალო მაჩვენებელი - 1.7), ვიდრე მამაკაცები (საშუალო მაჩვენებელი - 2.2).
- ✓ დებულება „სახლში გადამწყვეტი სიტყვა მხოლოდ კაცს ეკუთვნის“ უარყოფითი შეფასების ველშია ქალ რესპონდენტებს შორის (საშუალო მაჩვენებელი - 2.4), ხოლო საშუალო შეფასების ველშია კაც რესპონდენტებს შორის (საშუალო მაჩვენებელი - 2.9). ეს ნიშნავს, რომ ქალი რესპონდენტები უფრო ხშირად არ ეთანხმებიან აღნიშნულ დებულებას.
- ✓ დებულება „კაცებს უფრო მეტად სჭირდებათ სექსი, ვიდრე ქალებს“ უარყოფითი შეფასების ველშია კაც რესპონდენტებს შორის (საშუალო მაჩვენებელი - 2.0), ხოლო საშუალო შეფასების ველშია ქალ რესპონდენტებს შორის (საშუალო მაჩვენებელი 2.7). საინტერესოა, რომ აღნიშნულ დებულებას ქალები უფრო ხშირად ეთანხმებიან, ვიდრე მამაკაცები და ამ გზით, თავადვე ახდენენ საკუთარი თავის დისკრიმინაციას და საკუთარი სექსუალობის ტაბუირებას.
- ✓ დებულებას „კაცმა და ქალმა ერთად უნდა გადაწყვიტონ, რა სახის კონტრაცეპტივს (ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას) გამოიყენებენ“ ქალი რესპონდენტები უფრო ხშირად აფასებენ დადებითად, ვიდრე კაცი რესპონდენტები, რაც ნიშნავს, რომ გამოხატავენ მზაობას გადაწვეტილების ერთად მიღების მიმართ, კაცებისგან განსხვავებით.
- ✓ დანარჩენი დებულებების მიმართ მამრობითი და მდედრობითი სქესის რესპონდენტებმა თითქმის მსგავსი განწყობები დააფიქსირეს.

- დებულებების მიმართ მსგავსი განწყობა სქესობრივ ჭრილში კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ქალებს არ აქვთ ხმა, ნება და სურვილი, არა მხოლოდ დაიცვან საკუთარი უფლებები, არამედ გამოხატონ საკუთარი აზრები ღიად და დაუპირისპირდნენ არსებულ წესრიგს. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქალები ხშირად თავადვე ხდებიან საკუთარი დისკრიმინაციის ხელშემწყობები.
- დებულებების გარდა, რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ქალთა პოლიტიკური აქტივობა საქართველოში და დაეფიქსირებინათ მოსაზრება იმასთან

დაკავშირებით, უნდა იყოს თუ არა ქალი უფრო აქტიური, ვიდრე დღესაა, თუ უფრო პასიური.

- ქალების ნახევარი მიიჩნევს, რომ პარლამენტში მეტი ქალი უნდა იყოს, ვიდრე ამჟამადაა, ხოლო კაცების ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ სკოლის დირექტორებსა და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს შორის უნდა იყოს მეტი ქალი, ვიდრე ახლაა. ეს მიუთითებს, რომ კაცები უფრო იშვიათად ხედავენ ქალებს პოლიტიკურ თანამდებობებზე, ვიდრე ქალები;
- ამასვე ადასტურებს კაცების თითქმის 30%-ის მოსაზრება, რომ პარლამენტში და მინისტრების თანამდებობებზე იმდენივე ქალი უნდა იყოს, რამდენიც დღეს არის.
- როგორც მამაკაცების, ასევე ქალების დაახლოებით მეოთხედის აზრით, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს შორის ნაკლები ქალი უნდა იყოს, ვიდრე დღესაა;
- მონაცემები მიუთითებს იმაზეც, რომ ქალი რესპონდენტები უფრო ხშირად ფიქრობენ, რომ ჩამოთვლილი თანამდებობებისთვის ადამიანის სქესს მნიშვნელობა არ აქვს.

ურთიერთობები ოჯახში

- კვლევამ აჩვენა, რომ პანკისის ხეობაში შედარებით ადრეულ ასაკში (18–24 წელი) ქორწინებაა გავრცელებული, თუმცა, გოგონები უფრო ადრიანად ქორწინდებიან (18–20 წელი), ვიდრე ვაჟები. აქედან გამომდინარე, პირველი შვილის შეძენის ფაქტიც დაახლოებით ამავე ასაკში ხდება. დაოჯახებულ/თანაცხოვრებაში მყოფ წყვილთა თითქმის ნახევარი მრავალშვილიანია (3 ან მეტი შვილი ჰყავთ – 3 შვილი ჰყავს 30%–ს). კვლევის მონაცემების მიხედვით, პანკისის ხეობის მოსახლეობა ძირითადად სტაბილურ ურთიერთობებს ანიჭებს უპირატესობას: ქალების 98.6% და მამაკაცების 78.9% მიუთითებს ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთ პარტნიორთან ურთიერთობის შესახებ. ქორწინებები ძირითადად ხანგრძლივია – ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (23%) 31 წელზე მეტ ხანგრძლივობის ქორწინებებს აღმოაჩნდა. პოზიტიურად შეფასდა დაოჯახებული რესპონდენტების მიერ როგორც მეუღლესთან თანაცხოვრება, ისე მეუღლესთან სექსუალური ურთიერთობა. ორივე შემთხვევაში საშუალო მაჩვენებელი მოექცა მაღალი შეფასების ველში, თუმცა ქალები შედარებით პესიმისტურად განწყობილნი აღმოჩნდნენ (ნეგატიური პასუხები მამაკაცებთან არ დაფიქსირებულა ქალებისგან განსხვავებით). რაც შეეხება სხვა დემოგრაფიულ მონაცემებს: რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას (84.2%) მეუღლე ქისტი ჰყავს, 12.7%–ს ქართველი, ხოლო 3%–ს სხვა ეროვნების. დასაქმებულ მეუღლეთა/პარტნიორთა შორის შედარებით ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვთ თვითდასაქმებულებს – 18.5% და სახელმწიფო ორგანიზაციაში დასაქმებულებს 15.9%. მონაცემების მიხედვით, ქალები უფრო მეტად მიუთითებენ, რომ მათი მეუღლე გამოიმუშავებს მეტს (29%), რასაც მამაკაცებიც ადასტურებენ – ანუ, ისინი აღნიშნავენ, რომ თავად მეტს გამოიმუშავებენ. აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ ქალთა 56.6% მიუთითებს მეუღლეზე სრულ ან მეტ–ნაკლებ მატერიალურ დამოკიდებულებაზე. მატერიალური დამოკიდებულება მეუღლეზე დისკუსიებში მონაწილე ქალების

მიერ განიხილება როგორც ქალთა და მამაკაცთა შორის უთანასწორობის ერთ–ერთი ნიშანი.

- სქესთა შორის თანასწორობას განსაზღვრავს კიდევ ერთი კომპონენტი – გადაწყვეტილების მიღების „უფლება“/შესაძლებლობა. კვლევის მონაცემების მიხედვით, დღესდღეობით, ოჯახები სულ უფრო მეტად ხდებიან ორიენტირებულნი გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პრაქტიკაზე. თუმცა, მონაცემები მიუთითებს, ასევე, ტრადიციების სიმძლავრეზე და ქალისა და მამაკაცისთვის დომინანტურ ისეთ საკითხებზე, სადაც, ერთი მხრივ, ქალებს, ხოლო, მეორე მხრივ, მამაკაცებს, აქვთ მეტი დამოუკიდებლობა გადაწყვეტილებების მიღებისას. კერძოდ, ყოველდღიური საჭიროებებისათვის ფინანსების განკარგვის, შვილის გაჩენის და ოჯახისთვის მნიშვნელოვანი ნივთების შესაძენად გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება ქალებში უფრო გავრცელებულია, ვიდრე კაცებში; რაც შეეხება ოჯახურ ბიზნესთან/სამეურნეო საქმიანიობასთან დაკავშირებულ საკითხებს ან ოჯახის მიერ საცხოვრებლის გამოცვლას, აქ მამაკაცების დამოუკიდებლობა, ქალებთან შედარებით იმატებს. იგივე ტენდენცია შეინიშნება ოჯახში მოვალეობების განაწილების მოდელის ანალიზისას: ხდება საოჯახო საქმეების დაყოფა „ქალურ“ და „მამაკაცურ“ საქმეებად, სადაც მამაკაცის პრეროგატივაა სახლის მომარაგება და შეკეთება, ხოლო ქალის – ჰიგიენასთან და მოვლასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. აღნიშნული ფაქტს ადგილი აქვს იმ ფონზე, როდესაც დაოჯახებული რესპონდენტების დაახლოებით მესამედს საოჯახო საქმეებში დამხმარე პრაქტიკულად არ ჰყავთ. ჯგუფურ დისკუსიებზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ამგვარი ცხოვრების წესი მათი მენტალობიდან და ადათ–წესებიდან გამომდინარეობს. სწორედ აღნიშნულ ფაქტს შეიძლება მიეწეროს ის გარემოება, რომ საქმეების გადანაწილების აღნიშნული მოდელი რესპონდენტთა უმრავლესობისათვის მისაღებია და დამაკმაყოფილებელი.
- ადათ–წესების ზეგავლენა იგრძნობა ოჯახური ძალადობის შეფასების კომპონენტშიც. ერთობლივი თანაცხოვრებისას კონფლიქტების არსებობაზე რესპონდენტთა 30% მიუთითებს, სადაც ძირითადი ინიციატორი ხან ერთი, ხან მეორე პარტნიორი გამოდის. ქალები უფრო მეტად საუბრობენ ძალადობაზე, ვიდრე მამაკაცები: კერძოდ, ქალების 35.4% მიუთითებს, რომ გარკვეული სიხშირით („პრაქტიკულად ყოველ კვირას“, „თვეში რამდენჯერმე“ ან „წელიწადში რამდენჯერმე“) აქვთ კონფლიქტი მეუღლესთან, ხოლო იმავეს მამაკაცების 15.8% აღნიშნავს. ამასთან, მონაცემები აჩვენებს, რომ მამაკაცის როლი კონფლიქტების ინიცირებაში უფრო მნიშვნელოვანია. **ქალები უფრო მეტად ასახელებენ მამაკაცს კონფლიქტის ინიციატორად (38%), ვიდრე თავად მამაკაცები (11.1%).** მონაცემების მიხედვით, ძალადობის ძირითადი გამოვლინებები ვერბალური ფორმებია, კერძოდ, გინება და ყვირილი; თუმცა სახეზე გვაქვს ფიზიკური ძალადობის შემცველი ქმედებებიც: **ფიზიკური ტკივილის მიყენების შესახებ მიუთითებს 14 რესპონდენტი ქალი (იშვიათად – 6 შემთხვევა, ზოგჯერ – 2 შემთხვევა, ხშირად –6 შემთხვევა). საგულისხმოა, რომ არც ერთი მამაკაცი რესპონდეტი ფიზიკური ძალადობის ფაქტს არ აღიარებს. ასევე არ აღიარებენ მამაკაცები ძალადობის კიდევ ერთ ფორმის – სექსუალური ძალადობის (სქესობრივი კონტაქტის იძულება) - ფაქტებს, მაშინ, როდესაც ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი (44.2%) ამგვარ**

ქმედებებზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, დაოჯახებულ/თანაცხოვრებაში მყოფ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (87.4%) ერობლივი ცხოვრების/ქორწინების შეწყვეტას არ აპირებს.

- პროექციული შეკითხვების გამოყენებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფიზიკური ძალადობის ფაქტები უფრო ხშირია, ვიდრე ამას კვლევის მონაწილენი აღიარებენ: დაახლოებით მესამედი (30.4%) მიუთითებს რომ იცნობს ისეთ პირს, რომელი ფიზიკურად ძალადობს მდედრობითი სქესის პარტნიორის/მეუღლის მიმართ (ასახელებენ 1–5 ან მეტ შემთხვევას). ძალადობის ფაქტების აღმოფხვრას პანკისის მოსახლეობა არ ცდილობს სამართალდამცავი სტრუქტურების ჩარევით, არამედ ფიქრობენ, რომ უმჯობესია თავად, ადგილზე აღკვეთონ კონფლიქტი. ფიზიკური ძალადობის ფაქტების დამალვას და ამგვარი ფაქტების აღკვეთისათვის სამართალდამცველების ჩაურევლობას რამოდენიმე მოტივი გააჩნია: 1) ძალადობის ფაქტის გახმაურება ოჯახისთვის სირცხვილად ითვლება; 2) ძალადობის მოწმის მიმართ მოძალადე ავლენს აგრესიას. შედეგად, დაზარალებულს რეალურად არ ჰყავს მოწმეები; 3) ადათი და ტრადიცია – შვილების გამო ოჯახის შენარჩუნება ნებისმიერ ფასად; 4) შიშის ფაქტორი – მოძალადის მიმართ წინააღმდეგობის გაწევამ შესაძლოა მეტად მოახდინოს ძალადობის პროვოცირება.

ქონებრივი ურთიერთობები და ოჯახში კონფლიქტები

- ყველაზე ხშირად ქონების მესაკუთრეები რესპონდენტთა მამრობითი სქესის შვილები არიან. 45.8% შემთხვევაში, ქონების მესაკუთრე ქალია, ხოლო 48.5% შემთხვევაში - კაცი. ქალი რესპონდენტების 15.7% და კაცი რესპონდენტების 11.1% თავადაა ქონების მესაკუთრე.
- გამოკითხულთა 90.5%-ს ოჯახთან, საკუთრებასთან, ქონებასთან და შვილებთან დაკავშირებული პრობლემები არ შექმნია. ქალი რესპონდენტებიდან რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს ბავშ(ებ)ის ალიმენტთან დაკავშირებულ პრობლემებს ან ქონებრივ პრობლემებს ოჯახის სხვა წევრებთან. ქალი რესპონდენტების 78.9%-ს არ შექმნია ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემებიც (131 რესპონდენტი), თუმცა მეათედს უგრძვნია მორალური/ფსიქოლოგიური ძალადობა მეუღლის მხრიდან (18 რესპონდენტი), ხოლო 7.2%-ს (12 რესპონდენტი) ფიზიკური ძალადობა მეუღლის მხრიდან.
- სულ (ქონებრივი, ოჯახური და ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები) დაფიქსირდა 61 სამართლებრივი პრობლემა 38 ქალი რესპონდენტის მიერ და 2 სამართლებრივი პრობლემა 2 კაცი რესპონდენტის მიერ. 16-მა რესპონდენტმა არაფერი გააკეთა პრობლემის აღმოსაფხვრელად. აღნიშნულ სამიზნე ჯგუფში გამოკითხულთა დიდ ნაწილს სამართლებრივი პრობლემების მოგვარება არ უცდია – არ მიუმართავს სახელმწიფო ინსტანციებისთვის, იურისტისთვის, მეგობრებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. მათგან დიდი ნაწილი, ვინც პრობლემის გადასაჭრელად არაფერი მოიმოქმედა, ფიქრობს, რომ მაინც არაფერი შეიცვლებოდა.
- რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილმა მიმართა პოლიციას, სასამართლოს ან იურისტს, პრობლემის შემთხვევაში. მათ ხშირად აქვთ მოსაზრება, რომ

დავები/პრობლემები სასამართლოს/პოლიციის/იურისტის ჩარევის გარეშე უნდა გადაწყდეს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის მზაობის ხარისხი დაბალია. გამოიკვეთა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი მიმართვისთვის საჭირო ინფორმაციის ნაკლებობა, ხელმისაწვდომობისა და ნდობის დაბალი ხარისხიც.

ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები და თერაპიის აგენტები; მამაკაცთა მონაწილეობა მეუღლეთა ორსულობასთან და აბორტთან დაკავშირებულ პრაქტიკებში

- ამა თუ იმ ფიზიკური ან ფსიქიკური პრობლემების ქონის თვალსაზრისით, იკვეთება, რომ ყველაზე მასობრივი პრობლემა თავის ტკივილია: რესპონდენტთა 66%-მდე აღნიშნავს, რომ ბოლო 3 თვის განმავლობაში სხვადასხვა სიხშირით ტკიოდა თავი (მათ შორის, 21.7% მიუთითებს, რომ - ყოველდღე). ყველაზე უფრო იშვიათი ფსიქიკური დევიაცია თვითმკვლელობაზე ფიქრია: რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (86.2%) აცხადებს, რომ არასოდეს უფიქრიათ თვითმკვლელობაზე. რაც შეეხება სხვა დევიაციებს (სტრესი, დეპრესია, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, სექსის სურვილის დაკარგვა), მათზე (სხვადასხვა სიხშირით) მიუთითებს რესპონდენტთა 24-40%-ის ფარგლებში.
- გამოკითხულთათვის ფსიქიკური და სოციალური თერაპიის აგენტები, ძირითადად, პირველადი ჯგუფის წევრებია: მეუღლე, ოჯახის წევრები, ახლო ნათესავები და მეგობრები. სწორედ ეს ქვეჯგუფები სახელდება რესპონდენტთა მიერ დამხმარედ მოწყენილობის/იმედგაცრუების გასანეიტრალებლად/გადასალახად.
- დაოჯახებული მამაკაცების როგორც ინფორმირებულობა, ისე მონაწილეობა მეუღლის ორსულობასთან და აბორტთან დაკავშირებულ პრაქტიკებში მწირია: გამოკითხვაში მონაწილე 38 დაოჯახებული მამაკაციდან მხოლოდ 3-ს აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ მეუღლეს აბორტი აქვს გაკეთებული. უმრავლესობა (65.8%) აცხადებს, რომ მათ მეუღლეს აბორტი არასოდეს გაუკეთებია, ხოლო 26.3%-მა არაფერი იცის ამის შესახებ.
- რესპონდენტთა პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აბორტის გაკეთების მიზეზი ნაყოფის არასასურველი სქესი იყო (ქალების 9%-მდე, ხოლო მამაკაცების 8%-მდე მიუთითებს ამაზე). საგულისხმოა, რომ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავს იკავებს ქალების 11%, ხოლო მამაკაცების 29%-მდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არასასურველი სქესის გამო აბორტების რეალური რაოდენობა გაცხადებულზე უფრო მეტი უნდა იყოს.
- ქალების 20% და მამაკაცების 15.2% ადასტურებს ბავშვის გაჩენის მოტივაციად ოჯახში სასურველი სქესის ბავშვის არყოლას. ეს მიუთიტებს იმაზე, რომ ბავშვის სქესი ოჯახების კვლავწარმოების პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია.
- დაოჯახებული მამაკაცები, როგორც წესი, არ მონაწილეობენ მათი მეუღლეების ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებულ პრაქტიკებში: მათი უმრავლესობა (59%-მდე) არასოდეს დაყვებოდა მეუღლეს ექიმთან ორსულობის პერიოდში და არასოდეს დასწრებია შვილის დაბადებას სამშობიარო ბლოკში (ასე მხოლოდ ყოველი მეხუთე დაოჯახებული მამაკაცი მოიქცა).

დამოკიდებულება ტრადიციული/კონსერვატული პრაქტიკების მიმართ

- კვლევა აჩვენებს, რომ ქალები ნაკლებად კონსერტორები და უფრო რეზისტენტულები არიან გარკვეული ტრადიციული პრაქტიკების მიმართ, ვიდრე მამაკაცები. თუმცა, არსებობს ისეთი ტრადიციებიც, რომლებიც თანაბრად მიუღებელი როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის; ასეთია, მაგალითად, წესი, რომლის თანახმადაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქვრივებს ოჯახის სხვა წევრზე (მეუღლის ძმაზე) ან მეუღლის მეგობარზე აქორწინებენ. აგრეთვე, როგორც ქალების, ისე მამაკაცების უმრავლესობა ეწინააღმდეგება ახალგაზრდების სირიაში მიგრაციას (ჯიჰადში წასვლას). ქალების და მამაკაცების პოზიციები ერთმანეთს დიამეტრალურად დაშორდა იმ წესის შეფასებათან მიმართებაში, რომლის თანახმადაც კაცებისთვის ნებადართულია ერთზე მეტი ცოლის შერთვა; ქალების გამოკვეთილი უმრავლესობა (70%-მდე) ამ წესს სავსებით უარყოფითად აფასებს, მაშინ როდესაც დაახლოებით ყოველი მეორე მამაკაცი ამ ტრადიციის მიმართ ლოიალურია.
- როგორც ქალების, ისე მამაკაცების უმრავლესობა უხუცესთა საბჭოს საქმიანობას დადებითად აფასებს („სავსებით დადებითად“, ან „უფრო დადებითად“); თუმცა, საინტერესოა, რომ საშუალოდ ყოველი მეხუთე ქალი და მამაკაცი ამ ინსტიტუტის მიმართ „ნეიტრალურ“ შეფასებას გამოთქვამს. პანკისის ხეობის ქალებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში ზოგიერთმა მონაწილემ გამოთქვა უკმაყოფილება უხუცესთა საბჭოში ქალების არყოფნის გამო.

I. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო პანკისის ხეობის მოსახლეობის დამოკიდებულებების, ატიტუდებისა და განწყობების შესწავლა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა გენდერული თანასწორობა, ქონებრივი ურთიერთობები, სამართლებრივი პრობლემები, ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.

კვლევა მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევას.

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

თვისებრივი კვლევა განხორციელდა ფოკუს-ჯგუფის (ჯგუფური დისკუსიის) და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით, რომლებიც ჩატარდა პანკისის ხეობაში.

თვისებრივი კვლევის მიზანი იყო იმ ინდიკატორების გამოვლენა, რომელთა საფუძველზეც მოხდა რაოდენობრივი კვლევის კითხვარის დიზაინი.

სულ ჩატარდა 4 ჯგუფური დისკუსია შემდეგი შემადგენლობით (იხ. ცხრილი №1.1.):

ცხრილი №1.1.

N.	ფოკუს ჯგუფები
1.	უხუცეს ქალთა საბჭოს წარმომადგენლები პანკისის ხეობაში
2.	უხუცეს კაცთა საბჭოს წარმომადგენლები და რელიგიური ლიდერები პანკისის ხეობაში
3.	პატრულის თანამშრომლები პანკისის ხეობაში
4.	ქალები პანკისის ხეობაში

საწყის ეტაპზე შეიქმნა ფოკუს ჯგუფების სახელმძღვანელო (ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი - გაიდლაინი). ჩატარდა 4 ჯგუფური დისკუსია. თითოეული ფოკუს ჯგუფი, საშუალოდ, რვა (8) მონაწილისგან შედგებოდა. დისკუსიის ხანგრძლივობა, საშუალოდ, 2 საათი იყო. ყველა ფოკუს ჯგუფის მსვლელობა ჩაიწერა ვიდეო ფირზე.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

რაოდენობრივი კვლევის ფუნქცია იყო პანკისის ხეობის მოსახლეობის (18 წლის და მეტი) დამოკიდებულების რეპრეზენტატული შესწავლა სხვადასხვა სოციალური პრობლემის მიმართ. სულ გამოიკითხა 217 რესპონდენტი. რესპონდენტები შეირჩნენ სოფლების მიხედვით (იხ. ცხრილი №1.2.)

ცხრილი №1.2.

სოფელი	რაოდენობა	%
წინუბანი	9	4.1
ქორეთი	24	11.1
დუმასტური	19	8.8
ბირკიანი	25	11.5
ჯოყოლო	29	13.4
დუისი	71	32.7
ომალო	26	12.0
ხალაწანი	6	2.8
საკობიანი	2	0.9
ახმეტა	4	1.8
ბაყილოვანი	1	0.5
კუწახტა	1	0.5
სულ	217	100.0

შერჩევის მოდელის დიზაინის პარალელურად შეიქმნა კვლევის ინსტრუმენტი – კითხვარი. კითხვარში ჩადებული იყო სხვადასხვა ტიპის კითხვები: ფორმალიზებული, ნახევრად ფორმალიზებული და ღია. ასევე, გამოიყენება ალტერნატიული და შეფასებითი კითხვები.

მონაცემების დამუშავება და ანალიზი: თავდაპირველად მოხდა საველე სამუშაოების შედეგად შევსებული კითხვარების კოდირება და ფორმალიზაცია. შემდეგ განხორციელდება მონაცემების კომპიუტერში შეტანა. ფაილის "გაწმენდის" შემდეგ, მონაცემები დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის ფარგლებში. დამუშავებისა და ანალიზისას გამოყენებული იქნება უნივარიაციაული, ბივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზის ისეთი მეთოდები, როგორიცაა სიხშირული (ერთგანზომილებიანი) განაწილება, ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები, კორელაციური ანალიზი, რეგრესია და სხვ. კვლევის ბოლო ეტაპზე მოხდა საბოლოო ანგარიშის შექმნა.

II. სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევის შედეგების ნათლად წარმოდგენისთვის აუცილებელია სრულყოფილი ინფორმაცია გვქონდეს საკვლევი ჯგუფის სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლების შესახებ. სოციო–დემოგრაფიულ ბლოკში მოცემული იყო კითხვები რესპონდენტის დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

კვლევის ფარგლებში სულ გამოიკითხა 217 რესპონდენტი პანკისის ხეობაში, აქედან 76.5%-მდედრობითი სქესის (166 რესპონდენტი), ხოლო 23.5%-მამრობითი სქესის (51 რესპონდენტი). რესპონდენტების ასაკი, ძირითადად, 35-54 წელი იყო (46.6%) (იხ. დიაგრამები №2.1. და №2.2).

დიაგრამა №2.1



დიაგრამა №2.2



რაც შეეხება სამიზნე ჯგუფის ეთნიკურ შემადგენლობას, უმრავლესობა ქისტი იყო (85.7%). ეთნიკურად ქართველების ხვედრითი წილი შეადგენდა 12.4%-ს.

გამოკითხულთა უმრავლესობა ტრადიციული ისლამის მიმდევარია (87.6%). ვაჰაბიტების პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ 2.3%-ს შეადგენს. საინტერესოა, რომ ტრადიციული ისლამის მიმდევარი მდედრობითი სქესის რესპონდენტებს შორის მეტია, ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტებს შორის. ვაჰაბიტი რესპონდენტების უმრავლესობა კი მამრობითი სქესისაა (იხ. ცხრილი №2.1).

ცხრილი №2.1

რელიგიური მრწამსი	მდედრობითი	მამრობითი	სულ
ტრადიციული ისლამის მიმდევარი	91.0%	76.5%	87.6%
ვაჰაბიტი	0.6%	7.8%	2.3%
მართლმადიდებელი	8.4%	11.8%	9.2%
სხვა	-	2.0%	0.5%
არ ვარ მორწმუნე	-	2.0%	0.5%

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამიზნე ჯგუფისთვის დამახასიათებელია გაფართოებული ოჯახები, რომლებიც, ძირითადად, 6 და მეტი წევრისგან შედგება და რომლებშიც რამდენიმე თაობა ერთ შინამეურნეობაში ცხოვრობს. 6 ან მეტწევრიანი ოჯახების რაოდენობა 42.9%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი №2.2).

ცხრილი №2.2

ოჯახის წევრების რაოდენობა (ვისთან ერთადაც რესპონდენტი ცხოვრობს)	%
მხოლოდ მე ან 1 წევრი ჩემთან ერთად	2.8%
2-3 წევრი	21.2%
4-5 წევრი	33.2%
6 და მეტი წევრი	42.9%

გამოკითხულთაგან უმრავლესობა დაოჯახებულია. დაუოჯახებელთა რაოდენობა თითქმის მეხუთედს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ დაუოჯახებელთა რაოდენობა კაცებს შორის მეტია, ვიდრე ქალებს შორის, ხოლო ქვრივი ან განქორწინებული რესპონდენტები მხოლოდ ქალებს შორის დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა №2.3). მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ გამოკითხულ 18-24 წლის ქალთა 14.8% დაქორწინებულია მაშინ, როდესაც 18-24 წლის კაცთაგან არცერთია დაოჯახებული.

დიაგრამა №2.3



განათლების კუთხით, როგორც მოსალოდნელი იყო, ქალებს შედარებით რთული სიტუაცია აქვთ. კერძოდ, ქალების 16.3%-ს არ მიუღია სრული საშუალო განათლება მაშინ, როდესაც კაცების მხოლოდ 2%-ს არ დაუმთავრებია სკოლა. ამასთან, უმაღლესი განათლების მქონეთა შორის კაცების რაოდენობა მეტია, ვიდრე ქალებისა (იხ. ცხრილი №2.3).

ცხრილი №2.3

განათლება	მდედრობითი	მამრობითი	სულ
არასრული საშუალო	16.3%	2.0%	12.9%
საშუალო	34.9%	35.3%	35.0%
საშუალო პროფესიული (ტექნიკუმი, პროფტექნიკუმი)	12.0%	9.8%	11.5%
არასრული უმაღლესი (შეწყვეტილი განათლება)	1.2%	2.0%	1.4%
უმაღლესი	32.5%	47.1%	35.9%
სტუდენტი	3.0%	3.9%	3.2%

გამოკითხულთაგან დასაქმებულთა რაოდენობა სულ 41.5%-ს შეადგენს. ქალთაგან დასაქმებულია 40.4%, ხოლო კაცთაგან - 54.9%, რაც ცხადყოფს, რომ ქალებში უფრო ხშირად გვხვდება უმუშევრობის პრობლემა. სულ დასაქმებულებს შორის მეტია სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. გამოკითხულთაგან ქალები უფრო ხშირად არიან სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები, ვიდრე კაცები. თვითდასაქმებულების რაოდენობა კი მხოლოდ 5.1%-ია, სადაც კაცების რაოდენობა მეტია, ვიდრე ქალებისა.

რაც შეეხება დაუსაქმებლებს, მათგან 31.8% დიასახლისია, რაც ქალთა რაოდენობის 41.6%-ს უდრის (69 ქალი). გამოკითხულების 13.4% უმუშევარია, რაც მამაკაცების 31.4%-ს უდრის (16 კაცი). ქალების უმრავლესობა, უმუშევრობის შემთხვევაში, საკუთარ დასაქმების მდგომარეობას განსაზღვრავს, როგორც „დიასახლისობას“, რაც ნიშნავს, რომ ის არ ცდილობს სამსახურის პოვნას. ქალებში მხოლოდ 7.8% მიიჩნევს, რომ უმუშევარი და შესაბამისად, ამით აფიქსირებს დასაქმების მიმართ მისი მზაობის არსებობას (იხ. ცხრილი №2.4).

ცხრილი №2.4

დასაქმების მდგომარეობა		მდედრობითი	მამრობითი	სულ
დასაქმებული	სახელმწიფო სექტორი	29.5%	15.7%	26.3%
	კერძო ორგანიზაცია	1.2%	9.8%	3.2%
	ერთობლივი საწარმო	-	2.0%	0.5%
	არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია	7.2%	3.9%	6.5%
	თვითდასაქმებული	1.8%	15.7%	5.1%
	კერძო ლიცენზირებული ბიზნესი	0.6%	7.8%	2.3%
დაუსაქმებელი	დიასახლისი	41.6%	-	31.8%
	პენსიონერი	1.8%	2.0%	1.8%
	სტუდენტი/მოსწავლე	5.4%	9.8%	6.4%
	უმუშევარი	7.8%	31.4%	13.4%
	სოციალურად დაუცველი	3.0%	2.0%	2.8%

როგორც მოსალოდნელი იყო, ოჯახებში მთავარი შემომტანი მამაკაცია. გამოკითხულთა ქალთა მეოთხედზე მეტი ამბობს, რომ მთავარი შემომტანი თვითონაა, თუმცა მესამედზე მეტი ამომბობს, რომ - მეუღლე. ისეთი ოჯახების რაოდენობა, სადაც კაცი და ქალი თანაბრად არჩენენ ოჯახს, ძალიან მცირეა (იხ. ცხრილი №2.5.).

ცხრილი №2.5

ვინ არის ოჯახში მთავარი შემომტანი?	მდედრობითი	მამრობითი	სულ
თქვენ	26.5%	51.0%	32.3%
თქვენი მეუღლე/პარტნიორი	34.3%	15.7%	30.0%
მშობლები	16.3%	17.6%	16.6%
სხვა ნათესავები	5.4%	3.9%	5.1%
ძირითადი შემოსავალი პენსიაა	6.6%	5.9%	6.5%
სახელმწიფო დახმარებები	9.6%	2.0%	7.8%
მე და მეუღლე თანაბრად	0.6%	2.0%	0.9%
მიჭირს პასუხის გაცემა	0.6%	2.0%	0.9%

რესპონდენტების დიდ ნაწილს პირადი შემოსავალი არ აქვს. რაც შეეხება შემოსავლის საშუალო მაჩვენებელს (Mean), ის 221.2 ლარს უდრის. კაცების შემოსავლის საშუალო მაჩვენებელი საგრძნობლად აღემატება (369.2 ლარი) ქალების შემოსავლის საშუალო მაჩვენებელს (176 ლარი). ამასთან, ქალების 41.6% ამბობს, რომ პირადი შემოსავალი არ აქვთ, რაც აღემატება იმ კაცების რაოდენობას (კაცების 27.5%), რომლებიც ამავე პასუხს აფიქსირებენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ კაცების თითქმის მეოთხედის პირადი შემოსავალი 701 და მეტი ლარია, ხოლო ქალების მხოლოდ 1.2%-ს აქვს ამდენივე პირადი შემოსავალი (იხ. ცხრილი №2.6).

ცხრილი №2.6

რესპონდენტის პირადი ყოველთვიური შემოსავალი	მდედრობითი	მამრობითი	სულ
პირადი შემოსავალი არ მაქვს	41.6%	27.5%	38.2%
100 ლარი და ნაკლები	9.0%	11.8%	9.7%
101-200 ლარი	10.8%	7.8%	10.1%
201-300 ლარი	15.7%	15.7%	15.7%
301-400 ლარი	8.4%	3.9%	7.4%
401-700 ლარი	12.0%	7.8%	11.1%
701 ლარი და მეტი	1.2%	23.5%	6.5%
მიჭირს პასუხის გაცემა	1.2%	2.0%	1.4%
რესპონდენტის საშუალო შემოსავალი თვეში (ლარი)	176.0	369.2	221.2

ოჯახების საშუალო ყოველთვიური შემოსავლების საშუალო მაჩვენებელი (Mean) კი 576.8 ლარს უდრის. ოჯახების მეხუთედის შემოსავალი 401-700 ლარია, თითქმის მეხუთედის - 201-300 ლარი. ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომლებსაც შემოსავალი საერთოდ არ აქვს, 1.8%-ია (იხ. დიაგრამა №2.4).

დიაგრამა №2.4


r and eni a T qveni o j axi s yo vel T vi ur i Semo saval i
1.8%
7.4%
12.0%
18.9%
11.5%
20.3%
11.5%
11.5%
5.1%
o j axs Semo saval i ar aaqvs
100 d a nakl ebi l ar i
101-200 l ar i
201-300 l ar i
301-400 l ar i
401-700 l ar i
701-1000 l ar i
1001 d a met i l ar i
mi Wir s pasuxi

III. ურთიერთობები ოჯახში

მოცემულ ბლოკში მონაცემები გაანალიზებულია შემდეგი კატეგორიის რესპონდენტების მიხედვით: რეგისტრირებულ ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფნი, ასევე ქვრივები და განქორწინებულები (81.3% საერთო შერჩევიდან).

3.1. ზოგადი მიმოხილვა

დაოჯახებულ/სტაბილურ პარტნიორთან მცხოვრებ რესპონდენტთა უმრავლესობისთვის (59.7%) დაქორწინების/სტაბილურ პარტნიორთან თანაცხოვრების ასაკი 18–24 წლით განისაზღვრება. თუმცა, ადრეულ ასაკში დაქორწინების/სტაბილური თანაცხოვრების ხვედრითი წილი მდედრობითი სქესის რესპიონდენტებს შორის გაცილებით მაღალია: თუ ქალების 69.9%–მა მიუთითა ძირითადად 18–20 წლის ასაკში დაქორწინების შესახებ, მამაკაცებთან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი 57.9% – 25 წელს ზევით ქორწინებაზე მოდის *(იხ. დიაგრამა 3.1; ცხრილი 3.1).* შესაბამისად, პირველი შვილი გამოკითხულთა უმრავლესობას (66.5%) ასევე 18–24 წლის ასაკში შეეძინა (ქალების 78.5%–ს 18–24 წლის ასაკში, მამაკაცების 66.7%–ს 25 წლის ასაკის ზევით). საშუალო მაჩვენებელია – დაახლ. 22 წელი. შვილი არ ჰყავს მხოლოდ 4.5%–ს.

დიაგრამა 3.1



ცხრილი 3.1

	რომელ ასაკში დაქორწინდით ან დაიწყეთ სტაბილურ პარტნიორთან თანაცხოვრება?	მდედრ. (%)	მამრ (%)
1	18 წლამდე	26.8%	2.6%
2	18-20 წლის	42.8%	10.5%
3	21-24 წლის	22.5%	28.9%
4	25 წლის	8.0%	57.9%

დაოჯახებულ/პარტნიორთან თანაცხოვრებაში მყოფ რესპონდენტთა დაახლოებით მესამედს (30%) ჰყავს 3 შვილი. თანაბარია 2 და 4–შვიალიანთა რაოდენობა და თითოეული შეადგენს 20.8%–ს. საერთო ჯამში, 3 და მეტი (გამოკითხვის მიხედვით მაქსიმუმ 7) შვილი ჰყავს რესპონდენტთა უმრავლესობას (63.1%). ბოლო ბავშვის გაჩენა/შვილად აყვანა, როგორც აღმოჩნდა, დაქორწინებულ/თანაცხოვრებაში მყოფ წყვილთა ნახევარზე ოდნავ მეტისათვის (52.4%) ერთობლივ გადაწყვეტილებას წარმოადგენს. მეუღლის/პარტნიორის გადაწყვეტილებით შვილის გაჩენის/აყვანის და ასევე დაუგეგმავად ბავშვის გაჩენის მაჩვენებლები თითქმის თანაბარია და ორივე შემთხვევისათვის შეადგენს დაახლოებით 16%–ს.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (94.3%) ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთხელ იყო ქორწინებაში/თანაცხოვრობდა სტაბილურ პარტნიორთან. თუმცა თითქმის ყველა გამოკითხული ქალი (98.6%) მიუთითებს ერთ სტაბილურ პარტნიორზე მაშინ, როდესაც მამაკაცების 78.9% აღნიშნავს იგივეს. ორი პარტნიორი ჰყავდა მამაკაცთა თითქმის მეხუთედს, ხოლო სამი პარტნიორი არ ჰყავდა არცერთ გამოკითხულ ქალს ***(იხ. ცხრილი 3.2).*** ქორწინებები ძირითადად ხანგრძლივია – ყველაზე მცირე მაჩვენებელი 5 წლამდე ქორწინებას აქვს, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (23%) კი – 31 წელზე მეტ ხანგრძლივობის ქორწინებებს აღმოაჩნდათ***(იხ. დიაგრამა 3.2).*** (საშუალო მაჩვენებელი – 21.67.)

ცხრილი 3.2

	თქვენი ცხოვრების მანძილზე რამდენჯერ იყავით ქორწინებაში/თანაცხოვრობდით სტაბილურ პარტნიორთან	მდედრ. (%)	მამრ (%)	ჯამი (%)
1	ერთხელ	98.6	78.9	94.3
2	ორჯერ	1.4	18.4	5.1
3	სამჯერ		2.6	0.6
სულ		**100**	**100**	**100**

დიაგრამა 3.2



რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას (84.2%) მეუღლე ქისტი ჰყავს, 12.7%–ს ქართველი, ხოლო 3%–ს სხვა ეროვნების. ამასთან, ქისტი მეუღლის ყოლა უფრო ხშირად აღინიშნება ქალებში (89%), ვიდრე მამაკაცებს შორის (68.4%). რაც შეეხება ეროვნებით ქართველ მეუღლეს, მისი ხვედრითი წილი ქალებთან 10.2%-ია, ხოლო მამაკაცებთან – 21.1%–ია.

მეუღლესთან/სტაბილურ პარტნიორთან თანაცხოვრების შეფასება მოხდა 5 ბალიან სკალაზე (1 - ძალზე ცუდი, ხოლო 5 - ძალზე კარგი); გამოკითხვის მონაცემები მოექცა შეფასების პოზიტიურ ველში (საშუალო მაჩვენებელი 4.13); ამას ისიც ადასტურებს, რომ რესპონდენტთა ნახევარი თანაცხოვრებას აფასებს როგორც“ძალიან კარგს“. ამასთან, საშუალო მაჩვენებელი მამაკაცებთან უფრო მაღალია (4.55), ვიდრე ქალებთან (3.99) ***(იხ. დიაგრამა 3.3 ცხრილი 3.3).***

დიაგრამა 3.3



ცხრილი 3.3

5-ბალიან სკალაზე რა შეფასებას მისცემდით თქვენს ამჟამინდელ მეუღლესთან/სტაბილურ პარტნიორთან თანაცხოვრებას?		Mean
1	მდედრობითი	3.99
2	მამრობითი	4.55
3	**საერთო მაჩვენებელი**	**4.13**

შენიშვნა: *მონაცემები დათვლლია 5–ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავდა „ძალზე ცუდი“, ხოლო ციფრი „5“ – „ძალზე კარგი“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“–ზე ზევით შეესაბამება მაღალი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“–ზე ქვევით შეესაბამება დაბალი შეფასების ველს.*

რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა – თითქმის 71% – ასევე პოზიტიურად ახასიათებს მეუღლესთან/პარტნიორთან სექსუალურ ურთიერთობას (სრულიად დამაკმაყოფილებელი – 35.1%, დამაკმაყოფილებელი – 35.8%). უკმაყოფილოთა რაოდენობა მხოლოდ 10%–ია (საშუალო მაჩვნებელი – 3.94 – 5 ბალიან სკალაზე შეფასებით, სადაც 5 ნიშნავს „სრულიად დამაკმაყოფილებელს“). გასათვალისწინებელია, რომ ნეგატიური პასუხები მამაკაცებთან არ დაფიქსირებულა, მამაკაცების ჯგუფში მცირეა სექსუალური ურთიერთობის მეტ–ნაკლებად დამაკმაყოფილებლად შეფასების მაჩვენებელი (7.9%) ქალებთან შედარებით. ქალებთან მეუღლესთან სექსუალური ურთიერთობის უკმაყოფილების მაჩვენებელი 13.3%–ია, ხოლო შეფასებას - „მეტ–ნაკლებად დამაკმაყოფილებელი“ - 17.7% გამოთქვამს.

რაც შეეხება გამოკითხულთა და მათ მეუღლეთა/პარტნიორთა ეკონომიკურ მდგომარეობას: მეუღლის/პარტნიორის დასაქმების მდგომარეობა შემდეგია: დასაქმებულთა შორის შედარებით ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვთ თვითდასაქმებულებს – 18.5% და სახელმწიფო ორგანიზაციაში დასაქმებულებს 15.9%. დაუსაქმებლებს შორის 23.2% უმუშევარია, 14.6% – დიასახლისი*(იხ. დიაგრამა 3.4).*

დიაგრაა 3.4



რესპონდენტთა მეოთხედმა მიუთითა, რომ მისი პარტნიორი გამოიმუშავებს უფრო მეტს, ვიდრე თვითონ, დაახლოებით მეხუთედი კი პირიქით – თავად გამოიმუშავებს მეტს. მონაცემების მიხედვით, ქალები უფრო მეტად მიუთითებენ, რომ პარტნიორი გამოიმუშავებს მეტს (29%), ხოლო მამაკაცების შემთხვევაში – პირიქით, ისინი აღნიშნავენ, რომ თავად მეტს გამოიმუშავებენ („მხოლოდ მე გამოვიმუშავებ“ – 23.7%, „მე გამოვიმუშავებ მეტს“ – 28.9%) *(იხ. ცხრილი 3.4).* დაახლოებით 14%–ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

ცხრილი 3.4

ვინ უფრო მეტ თანხას გამოიმუშავებს - თქვენ თუ თქვენი მეუღლე/პარტნიორი?		მდედრ. (%)	მამრ (%)	ჯამი (%)
1	დაახლოებით ერთსა და იმავე რაოდენობის თანხას გამოვიმუშვებთ	7.1%	10.5%	7.9%
2	მხოლოდ მე გამოვიმუშავებ	15.0%	23.7%	17.2%
3	მხოლოდ ის გამოიმუშავებს	15.9%	10.5%	14.6%
4	მე გამოვიმუშავებ მეტს	18.6%	28.9%	21.2%
5	ის გამოიმუშავებს მეტს	29.2%	13.2%	25.2%
6	მიჭირს პასუხის გაცემა	14.2%	13.2%	13.9%

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, როდესაც გამოკითხულთა ნახევარი – 49.7 % აღნიშნავს, რომ სრულიად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია მეუღლეზე (საშუალო მაჩვენებელი 2.57). ქალთა 56.6% მიუთითებს სრულ ან მეტ–ნაკლებ მატერიალურ დამოკიდებულებას მეუღლეზე მაშინ, როდესაც მამაკაცთა 57.9% აღნიშნავს რომ მატერიალურად სრულიად დამოუკიდებელია *(იხ. დიაგრამა 3.5; ცხრილი 3.5):*

დიაგრამა 3.5



ცხრილი 3.5

ხართ თუ არა მატერიალურად დამოკიდებული თქვენს მეუღლეზე/პარტნიორზე?		მდედრ. (%)	მამრ (%)	ჯამი (%)
1	სრულიად დამოკიდებული ვარ.	30.1%	13.2%	25.8%
2	მეტ-ნაკლებად დამოკიდებული ვარ.	26.5%	15.8%	23.8%
3	მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ვარ.	6.2%	-	4.6%
4	სრულიად დამოუკიდებელი ვარ.	29.2%	57.9%	36.4%
5	მიჭირს პასუხის გაცემა.	8.0%	13.2%	9.3%

ჯგუფურ დისკუსიებზე აღნიშნა, რომ ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობა განპირობებულია იმით, რომ ქალი ეკონომიკურად დამოკიდებულია მამაკაცზე - „ყველას რომ ჰქონდეს შემოსავალი, იქნებოდა კარგი. შეიძლება ქმარს ერთხელ თხოვო, ორჯერ, მაგრამ რამდენჯერ შეიძლება? ამიტომ საკუთარი შემოსავლის ქონა არის აუცილებელი“, აღნიშნავს ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე ქალი.

3.2. ოჯახში გადაწყვეტილების მიმღები პირი

რამდენად დაცულია ქალსა და კაცს შორის თანასწორობა ოჯახში ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით?

გადაწყვეტილების მიღება შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა ყოველდღიური საჭიროებებისათვის ფინანსების განკარგვა, შვილის გაჩენა, განათლება ჯანდაცვის ხარჯები და ა.შ. გამოკითხვა აჩვენებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც წესი, მეუღლეების ერთობლივი მონაწილეობა იკვეთება; ამაზე მიუთითებენ როგორც ქალი, ისე მამაკაცი რესპონდენტები. დღესდღეობით ოჯახებში აღწერილი სიტუაცია უფრო მეტადაა ორიენტირებული გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების პრაქტიკაზე. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ვისაუბროთ გარკვეულ საკითხებზე, სადაც ქალების დამოუკიდებლობის ხარისხი (გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით) მაღალია კაცების დამოუკიდებლობის ხარისხზე და პირიქით. კერძოდ, ყოველდღიური საჭიროებებისათვის ფინანსების განკარგვის, შვილის გაჩენის და ოჯახისთვის მნიშვნელოვანი ნივთების შესაძენად გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება ქალებში უფრო გავრცელებულია, ვიდრე კაცებში; რაც შეეხება ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, ოჯახურ ბიზნესს/სამეურნეო საქმიანიობასთან დაკავშირებულ საკითხებს ან ოჯახის მიერ საცხოვრებლის გამოცვლას, აქ მამაკაცების დამოუკიდებლობა, ქალებთან შედარებით იმატებს **(იხ. დიაგრამა 3.6).**

დიაგრამა 3.6



ჯგუფური დისკუსიებისას, მამაკაცების და პოლიციელთა ჯგუფში, ასევე ქალების ნაწილის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ქალის და მამაკაცის თანასწორობა მისაღებია, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა მაინც მამაკაცს უნდა ეკუთვნოდეს. „წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახი არ იქნება ტრადიციული“,

3.3. ოჯახში მოვალეობების განაწილების მოდელი

დაოჯახებულ/პარტნიორთან ერთად მცხოვრებ რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა: „თქვენს ოჯახში ვინ ასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებს?“ საოჯახო საქმეების გადანაწილების პრაქტიკები შეფასებულია დაოჯახებული/პარტნიორთან თანამცხოვრები რესპონდენტების მონათხრობის საფუძველზე. სხვადასხვა საოჯახო საქმეებში მამაკაცების ჩართვის სურათი (როგორც თავად მამაკაცების, ისე მათი ცოლების/პარტნიორების მონათხრობის საფუძველზე) აჩვენებს, რომ მამაკაცები მეტად არიან ჩართული ისეთ საქმეებში, რომლებიც სახლის მომარაგებას გასათბობი საშუალებებით, სახლის შეკეთებას და საოჯახო ნივთების შეკეთებას უკავშირდება. ოჯახში ჰიგიენური პირობების შენარჩუნებასთან, სახლის დალაგებასთან, საჭმლის მომზადებასა და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ საქმეებს ძირითადად ქალები აკეთებენ. ანალოგიური მოსაზრება გამოითქვა ჯგუფური დისკუსიების დროსაც.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ მამაკაცების და ქალების მონათხრობი კაცების საოჯახო საქმეებში ჩართვასთან დაკავშირებით (ყველა დასახელებულ საოჯახო საქმესთან მიმართებაში) პრაქტიკულად არ განსხვავდება ზოგადი მონაცემებისაგან: კაცები უფრო მეტად მიუთითებენ ისევ ე.წ. „მამაკაცური საქმეების“ შესახებ, ხოლო ქალები „ქალური საქმეების“ შესახებ.

აშკარაა, რომ **საოჯახო საქმეები სქესის ნიშნით, ე.წ. „კაცურ“ და „ქალურ“ საქმეებად ჯგუფდება. ”ქალური” საქმეებია: რეცხვა, სახლის დასუფთავება, საჭმლის მომზადება და ბავშვ(ებ)ის მოვლასთან დაკავშირებული საკითხები. „კაცურ“ საქმეებად მიიჩნევა: სახლის შეკეთება, სახლის მომარაგება გასათბობი საშუალებებით და გადასახადების გადახდა** (იხ.დიაგრამა 3.7):

დიაგრამა 3.7



დაოჯახებულ/პარტნიორთან მცხოვრებ რესპონდენტების დაახლოებით მესამედს საოჯახო საქმეებში დამხმარე პრაქტიკულად არ ჰყავთ. აღნიშნულ ფუნქციას ძირითადად ითავსებენ ბავშვები (35.8%) და ოჯახის წევრები (ნათესავები) (29.1%) *(იხ.დიაგრამა 3.8):*

დიაგრამა 3.8



დაოჯახებულ/პარტნიორთან მცხოვრებ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (47%) თვლის, რომ მასა და მის მეუღლეს/პარტნიორს შორის საქმეები თანაბრადაა გადანაწილებული. საგულისხმოა, რომ მამაკაცების შედარებით მეტი ნაწილი აღიარებს, რომ მისი მეუღლე უფრო მეტ საქმეს აკეთებს, ვიდრე თავად (მამაკაცები – 13.2%; ქალები – 9%) ხოლო ქალები აღნიშნავენ რომ უფრ მეტ საქმეს თვითონ აკეთებენ, ვიდრე მათი მეუღლეები/პარტნიორები (ქალები – 42.5%' მამაკაცები – 10.5%) **(იხ.დიაგრამა 3.9).** როგორც აღმოჩნდა, საქმეების გადანაწილების აღნიშნული მოდელი რესპონდენტთა უმრავლესობისათვის მისაღებია და დამაკმაყოფილებელი (ძალზე კმაყოფილი ვარ – 47.7%, უფრო კმაყოფილი ვარ, ვიდრე უკმაყოფილო – 19.9%). ნეიტრალურად განწყობილთა მაჩვენებელი დაახლოებით 12%–ია, ხოლო უკმაყოფილო – 15.2% (მათგან ძალზე უკმაყოფილო – 7.3%). როდესაც საკითხი ეხება რესპონდენტის მიერ მისი მეუღლის/პარტნიორის კმაყოფილების შეფასებას საქმეების გადანაწილების არსებული მოდელის მიხედვით, კმაყოფილების მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება – ძალზე კამყოფილია 58.3%, უფრო კმაყოფილი – 25.8%. შესაბამისად, მცირდება უკმაყოფილოთა (ძალზე უკმაყოფილო, უფრო უკმაყოფილო) მაჩვენებელი და შეადგენს მხოლოდ 4.6%-ს . საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, საქმეების გადანაწილების მოდელით რესპონდენტთაკმაყოფილება და ასევე მათი მეუღლეების/პარტნიორების სავარაუდო კმაყოფილების მაჩვენებელი რესპონდენტთა შეფასებით) შეფასების პოზიტიურ ველშია მოქცეული (იხ ცხრილი 3.6):

დიაგრამა 3.9



ცხრილი 3.6

		Mean
1	კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენსა და თქვენ მეუღლეს/პარტნიორს შორის საქმეების გადანაწილებით?	3.98
2	როგორ ფიქრობთ, თქვენი მეუღლე/პარტნიორი კმაყოფილია თქვენ შორის საქმეების გადანაწილებით?	4.47

შენიშვნა: *მონაცემები დათვლლია 5–ბალიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ აღნიშნავდა „ძალზე კმაყოფილი“, ხოლო ციფრი „5“ – „ძალზე უკმაყოფილო“. სკალის ნეიტრალური პუნქტია „3“. მონაცემები „3“–ზე ზევით შეესაბამება მაღალი შეფასების ველს, ხოლო მონაცემები „3“–ზე ქვევით შეესაბამება დაბალი შეფასების ველს.*

3.4. კონფლიქტი მეუღლესთან/პარტნიორთან

ერთობლივი ცხოვრებისას კონფლიქტების არსებობის თაობაზე მიუთითებს დაოჯახებული/ პარტნიორთან ერთად მცხოვრები რესპონდენტების დაახლოებით მესამედი (30.5%) – ისინი ძალადობის სიხშირეს განსაზღვრავენ როგორც – „პრაქტიკულად ყოველ კვირას“ (7.9%), „თვეში რამდენჯერმე“ (11.9%), „წელიწადში რამდენჯერმე“ (10.6%) **(იხ. დიაგრამა 3.10).** აღსანიშნავია, რომ **კონფლიქტების არსებობის თაობაზე ქალები უფრო მეტად მიუთითებენ** (35.4% ზემოაღნიშნული სიხშირეების მიხედვით), **ვიდრე მამაკაცები** (15.8%). **შესაბამისად, კონფლიქტების არარსებობის მაჩვენებელი მამაკაცების ჯგუფში უფრო მაღალია** (იხ. ცხრილი 3.7):

დიაგრამა 3.10



ცხრილი 3.7

ერთობლივი ცხოვრება, როგორც წესი, არ არსებობს კონფლიქტების გარეშე. გაქვთ თუ არა კონფლიქტი თქვენს მეუღლესთან/პარტნიორთან და რამდენად ხშირად?		მდედრ. (%)	მამრ (%)
1	პრაქტიკულად ყოველ კვირას	9.7%	2.6%
2	თვეში რამდენჯერმე	14.2%	5.3%
3	წელიწადში რამდენჯერმე	11.5%	7.9%
4	უფრო იშვიათად	27.4%	31.6%
5	თითქმის არ გვაქვს	33.6%	47.4%
6	მიჭირს პასუხის გაცემა.	3.5%	5.3%

კონფლიქტების ინიციატორი, რესპონდენტთა თქმით, ძირითადად ხან ერთი პარტნიორია, ხან - მეორე (47.2%). მამაკაცის როლი კონფლიქტის წამოწყებაში 32.6%–ია, ხოლო ქალის მიერ კონფლიქტის ინიცირების მაჩვენებელი შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება (13.5%). კონფლიქტების არსებობის შეფასების მსგავსად, მოცემულ შემთხვევაშიც ქალებისა და მამაკაცების მონათხრობი ერთმანეთისაგან განსხვავდება. კერძოდ, **ქალები უფრო მეტად ასახელებენ მამაკაცს კონფლიქტის ინიციატორად (38%), ვიდრე თავად მამაკაცები (11.1%).**

მეუღლის/პარტნიორის მიმართ ძალადობის ამჟამინდელი პრაქტიკები, შეიძლება ორ ნაწილად დავაჯგუფოთ:

- ✓ ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი ძალდობის მძიმე პრაქტიკები;
- ✓ სიტყვიერი ძალდობის ე.წ. მსუბუქი პრაქტიკები (მაგალითად, ყვირილი, გინება, ნეგატიური მიმართვები/დამცირება, ფულის დახარჯვის აკრძალვა და ა.შ.);

- ✓ სექსუალური ძალადობა – იძულებით სქესობრივი კონტაქტი მეუღლის/პარტნიორის მხრიდან.

მონაცემების მიხედვით, გამოიკვეთა სიტყვიერი ძალადობის ორი კომპონენტი: ყვირილი (ხშირად 20.2%) და გინება (ხშირად 18%). საგულისხმოა, რომ ქალებისა და მამაკაცების პასუხებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები ფიქსირდება. მამაკაცების მონათხრობში ჭარბობს პასუხის ვარიანტები „თითქმის არასოდეს“ და „უარი პასუხზე“ (გამონაკლისია სიტყვიერი ძალადობის ფორმები - ყვირილი და გინება - სადაც დომინირებს სიხშირე – „ზოგჯერ“), მაშინ როდესაც ქალების შემთხვევაში ხდება მათ მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმების გამოყენების აღიარება მეტ–ნაკლები სიმწვავით **(იხ. დიაგრამა 3.11). ფიზიკური ტკივილის მიყენების შესახებ მიუთითებს 14 რესპონდენტი ქალი (იშვიათად – 6 შემთხვევა, ზოგჯერ – 2 შემთხვევა, ხშირად –6 შემთხვევა).**

დიაგრამა 3.11



რაც შეეხება ძალადობის კიდევ ერთ ფორმას – სექსუალურ ძალადობას: იძულებითი სქესობრივი კონტაქტის შესახებ (ერთხელ ან ერთზე მეტჯერ) მიუთითებს დაოჯახებული/პარტნიორთან მცხოვრები რესპონდენტების მეოთხედზე მეტი (27.2%). შეინიშნება მნიშვნელოვანი განსვლა ქალებისა და მამაკაცების მონათხრობს შორის. მამაკაცები ან საერთოდ არ მიუთითებენ ამგვარ ფაქტზე, ან უჭირთ პასუხის გაცემა. რაც შეეხება ქალებს: 30.1% აღიარებს, რომ მეუღლესთან/პარტნიორთან სურვილის საწინააღმდეგო სქესობრივი ურთიერთობა ჰქონია ერთხელ, 6.2% – მიუთითებს ერთზე მეტი ასეთი შემთხვევის შესახებ; ბოლო 12 თვის განმავლობაში სურვილის საწინააღმდეგო სქესობრივი კავშირის ქონაზე მიუთითებს 8%.

დაოჯახებული/პარტნიორთან მცხოვრები ქალების ნახევარი (51.3%) იძულებითი სქესობრივი კონტაქის ფაქტს უარყოფს (იხ. დიაგრამა 3.12):

დიაგრამა 3.12



ზემოაღნიშნული ფაქტების მიუხედავად, დაოჯახებულ/პარტნიორთან მცხოვრებ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა ერობლივი ცხოვრების/ქორწინების შეწყვეტას ცალსახად არ აპირებს (87.4%). 9.3% შედარებით ლოიალურადაა განწყობილი ქორწინების შეწყვეტის მიმართ. ლოიალურობის მაჩვენებელი ქალებთან უფრო მეტია (11.5%), ვიდრე მამაკაცებთან (2.6%). როგორც აღმოჩნდა, ქორწინების შეწყვეტას ყველაზე მეტად ის რესპოდენტები გამორიცხავენ, ვისაც პარტიორთან კონფლიქტები არ ან ნაკლებად აქვთ და პირიქით, რაც უფრო იზრდება კონფლიქტების სიხშირე, შედარებით იზრდება თანაცხოვრების შეწყვეტის ალბათობა (იხ. დიაგრამა 3.13; ცხრილი 3.8):

დიაგრამა 3.13



ცხრილი 3.8

		აპირებთ თუ არა თქვენი ერთობლივი ცხოვრების/ქორწინების შეწყვეტას უახლოეს მომავლში?					
		ნამდვილად არა		ალბათ არა		მიჭირს პ/გ	
		რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
ერთობლივი ცხოვრება, როგორც წესი, არ არსებობს კონფლიქტების გარეშე. გაქვთ თუ არა კონფლიქტი თქვენს მეუღლესთან/პარტნიორ თან და რამდენად ხშირად?	1. პრაქტიკულად ყოველ კვირას	10	7.6	1	7.1	1	20.0
	2.თვეში რამდენჯერმე	17	12.9	1	7.1		
	3.წელიწადში რამდენჯერმე	9	6.8	6	42.9	1	20.0
	4.უფრო იშვიათად	36	27.3	5	35.7	2	40.0
	5.თითქმის არ გვაქვს	55	41.7	1	7.1		
	6.მიჭირს პასუხის გაცემა	5	3.8			1	20.0
სულ		**132**	**100.0**	**14**	**100.0**	**5**	**100.0**

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ ოჯახში ფიზიკური ძალადობის ფაქტზე დაოჯახებულ/პარტნიორთან მცხოვრებ რესპონდენტთა ძალზე მცირე ნაწილი საუბრობს, დაახლოებით მესამედი (30.4%) მიუთითებს, რომ იცნობს ისეთ პირს, რომელიც ფიზიკურად ძალადობს მდედრობითი სქესის პარტნიორის/მეუღლის მიმართ (ასახელებენ 1–5 ან მეტ შემთხვევას). საინტერესოა, რომ მოცემულ შეფასებაში ქალების და მამაკაცების მაჩვენებელი, რომლებიც ქალზე ფიზიკურად მოძლადე მამაკაცს იცნობენ, დაახლოებით მსგავსია (ქალები – 31.4%, მამაკაცები – 27.1%). თუ მამაკაცის მიერ პარტნიორ ქალზე ძალადობის ფაქტს შეესწრებიან, რესპონდენტების აზრით, კონფლიქტი

ადგილზევე ახლობელი/ახლოს მყოფი ადამიანების ჩარევით უნდა შეწყდეს – ყველაზე რეალურ გამოსავალად კონფლიქტში მყოფთა გაშველება მიაჩნიათ (ამგვარად ფიქრობს დაახლოებით 60%). სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის მაჩვენებელი მინიმალურია (იხ. დიაგრამა 3.14):

დიაგრამა 3.14



*ჯგუფური დისკუსიების შედეგების მიხედვით ქალთა მიმართ ძალადობის ასევე ორი ყველაზე გავრცელებული მეთოდი გამოიკვეთა - **ფსიქოლოგიური და ფიზიკური.** პოლიციის ჩარევა ფიზიკური ძალადობის დროს უფრო ხდება, ხოლო ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევისას ოჯახის წევრები ცდილობენ თავად მოაგვარონ პრობლემა. ქალებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ცოლმა ქმრის მხირდან წამოსული ძალადობა უნდა აიტანოს, ვინაიდან საპატრულო პოლიციის გამოძახება ოჯახისთვის სირცხვილად ჩაითვლება. პოლიციელების განმარტებით, არის შემთხვევები, როდესაც ოჯახური ძალადობის დროს პოლიციას იძახებენ, თუმცა, ხშირად ქალები გაურკვევლობაში არიან - „არის შემთხვევები, როდესაც მხვერპლს სურს პოლიციის გამოძახება, სჭირდება დახმარება, მაგრამ, არც ის უნდა, რომ მისი მეუღლე დააკავონ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც სახლიდან მოძალადე გამოგვიყვანია, ადმინსიტრაციული ჯარიმა მიუღია და ამის გამო ოჯახი დანგრეულა“. ფიზიკური შეურაცხყოფის დროს ხშირია შემთხვევა, როდესაც უხუცესთა საბჭოს მიმართავენ - „გვარის უფროსები განსაზღვრავენ, თუ როგორ მოიქცნენ კონკრეტულ შემთხვევაში. პანკისელი ქალების თქმით, ქმრების მხრიდან ცოლებზე ძალადობა ტრადიციის ნაწილია და ეს სულ ასე იყო - „მე მომითმენია*

*ფიზიკური შეურაცხყოფა, არ ვმალავ და გეტყვით რატომ - შვილების გამო, ბავშვობიდან კოდი გვაქვს ჩადებული, რომ უნდა მოითმინო და ოჯახი არ დაანგრიო". ძალადობის მოთმენის შვილებზე ზრუნვის მოტივით გამართლების გარდა, ქალები ფიქრობენ, რომ წინააღმდეგობის გაწევამ შესაძლოა უფრო მეტი ძალადობის პროვოცირება მოახდინოს. პოლიციელების თქმით, ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოწმის არარსებობის გამო სასამართლოს ბრალდებულის სასარგებლოდ გამამართლებელი განაჩენი გამოუტანია - „მეზობლის მოწმედ გამოყენების შემთხვევაში მოძალადე მიდის და მეზობელს ურჩევს საქმეს, რაც ამწვავებს სიტუაციას, ამიტომ ყველა არიდებს თავს მოწმედ გამოვიდეს სასამართლოში. თუ ქალს ჯანმრთელობის დაზიანება აქვს, ამ შემთხვევაში უფრო მარტივადაა საქმე". პანკისელი მამაკაცების ნაწილის აზრით, ოჯახის ამბის გარეთ გატანა დაუშვებელია. **ქალმა არ უნდა მიიყვანოს კაცი იმ მდგომარეობამდე, რომ ქმარმა შეურაცხყოფა მიაყენოს - „ყურანში წერია, რომ თუ ქალი გზას ასცდა, მაშინ ცემაც შეიძლება და როზგიც".** პანკისელი მამაკაცების ნაწილის აზრით, ქალები ძალზე დაცულები არიან – ყურანში ძალიან დიდი ადგილი უკავია ქალის უფლებებს, კერძოდ, მამაკაცი ვალდებულია უზრუნველყოს ქალი ტანსაცმლით, საკვებით, ასევე უნდა უზრუნველყოს შვილების აღზრდა, თუ კაცს ეს არ შეუძლია, მაშინ არ უნდა დაქორწინდეს და დაელოდოს იმ პერიოდს, როდესაც მატერიალური მგომარეობა ამის საშუალებას მისცემს.*

IV. გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულება

კითხვარი მოიცავდა დებულებებს გენდერული თანასწორობის ასპექტების შესახებ. რესპონდენტებს უნდა დაეფიქსირებინათ საკუთარი დამოკიდებულება დებულებასთან დაკავშირებით 5 ბალიან სკალაზე, სადაც 5 ნიშნავდა სრულ დათანხმებას, 1 - არ დათანხმებას, 3 კი იყო შეფასების საშუალო, ნეიტრალური წერტილი. მონაცემების უკეთ აღქმნისთვის გაანალიზდა შეფასებათა საშუალო მაჩვენებლები (Mean). ანალიტიკური დაჯგუფებისას გამოიყო დებულებების უარყოფითი შეფასების ველი (საშუალო მაჩვენებელი: 1.0-2.5), საშუალო შეფასების ველი (საშუალო მაჩვენებელი: 2.6-3.5) და დადებითი შეფასების ველი (საშუალო მაჩვენებელი: 3.6-5.0). როგორც მონაცემები ცხადყოფს, დადებითი შეფასების ველში ვერცერთი დებულება ვერ მოხვდა, ეს ნიშნავს, რომ ჩამოთვლილი დებულებების მიმართ დათანხმებების რაოდენობა მაღალი არ არის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მონაცემთა სქესის მიხედვით ანალიზისასაც არცერთი დებულება მოხვდა დადებითი შეფასების ველში.

შეფასების უარყოფითი ველში მოხვდნენ დებულებები:

- ✓ ოჯახი უნდა შეინარჩუნო ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ქმარი ძალადობს ცოლზე;
- ✓ ქალებისათვის უფლებების მინიჭება ნიშნავს, რომ კაცები კარგავენ უფლებებს;
- ✓ სამსახურში მამაკაცის აყვანა სჯობს, ვიდრე ქალის, რადგან მამაკაცს უფრო ხარისხიანად შეუძლია საქმის კეთება ქალთან შედარებით;
- ✓ უნდა დავემორჩილოთ ადათ–წესებს, რომელთა მიხედვითაც ქალისა და კაცის თანასწორობა დაუშვებელია;
- ✓ ჩვეულებრივ, ქალები უფრო იმსახურებენ ცემას, ვიდრე მამაკაცები;
- ✓ ბავშვების მოვლა მხოლოდ დედების პასუხისმგებლობაა;
- ✓ მხოლოდ ქალები არიან პასუხისმგებელი თავი დაიცვან არასასურველი ორსულობისგან;
- ✓ სახლში გადამწყვეტი სიტყვა მხოლოდ კაცს ეკუთვნის;
- ✓ ქალმა უნდა მოითმინოს ფიზიკური შეურაცხყოფა რათა შეინარჩუნოს ოჯახი;
- ✓ ქალებს იმიტომ აუპატიურებენ, რომ ისინი გაუფრთხილებლობით თავად იგდებენ საკუთარ თავს ამ სიტუაციაში;
- ✓ თუკი ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ სწევდა, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილი ჰქონდა გაუპატიურებას;
- ✓ კაცებს უფრო მეტად სჭირდებათ სექსი, ვიდრე ქალებს;
- ✓ ჩემთვის მიუღებელი იქნება, თუ ცოლი/ქმარი მომთხოვს კონდომის (პრეზერვატივის) გამოყენებას.

ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტები, ძირითადად, არ ეთანხმებიან ჩამოთვლილ დებულებს და საწინააღმდეგო განწყობას აფიქსირებენ, მაგ. ფიქრობენ, რომ ბავშვების მოვლა

მხოლოდ დედების პასუხისმგებლობა არ არის. შეფასების საშუალო ველში კი მხოლოდ რამდენიმე დებულება აღმოჩნდა:

- ✓ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა;
- ✓ კარგი ცოლი ემორჩილება ქმარს/პარტნიორს მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმება;
- ✓ ქალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შექმნას ოჯახი და გააჩინოს შვილები, მამაკაცისათვის – გაიკეთოს კარიერა და იშოვოს ფული;
- ✓ ქალმა უნდა მოითმინოს სიტყვიერი შეურაცხყოფა რათა შეინარჩუნოს ოჯახი;
- ✓ კაცმა და ქალმა ერთად უნდა გადაწყვიტონ, რა სახის კონტრაცეპტივს (ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას) გამოიყენებენ.

ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტების მხრიდან მკვეთრად დადებითი ან მკვეთრად უარყოფითი განწყობა არ ფიქსირდება ჩამოთვლილი დებულებების მიმართ.

მონაცემების სქესის ჭრილში განხილვისას რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა:

- ✓ მდედრობითი სქესის რესპონდენტებს შორის დებულება „კარგი ცოლი ემორჩილება ქმარს/პარტნიორს მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმება“ უარყოფითი შეფასების ველშია, ხოლო მამრობითი სქესის რესპონდენტებს შორის - საშუალო შეფასების ველში. ეს ნიშნავს, რომ ქალი რესპონდენტები უფრო ხშირად არ ეთანხმებიან ამ დებულებას;
- ✓ დებულება „უნდა დავემორჩილოთ ადათ–წესებს, რომელთა მიხედვითაც ქალისა და კაცის თანასწორობა დაუშვებელია“ ქალ რესპონდენტებს შორის უარყოფითი შეფასების ველშია, ხოლო კაც რესპონდენტებს შორის - საშუალო შეფასების ველში. ეს ნიშნავს, რომ ქალი რესპონდენტები უფრო ხშირად არ ეთანხმებიან ამ დებულებას.
- ✓ დებულება „ოჯახი უნდა შეინარჩუნო ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ქმარი ძალადობს ცოლზე“ ორივე სქესის რესპონდენტებს შორის უარყოფითი შეფასების ველშია, თუმცა ქალები უფრო უარყოფითად აფასებენ ამ დებულებას (საშუალო მაჩვენებელი - 1.7), ვიდრე მამაკაცები (საშუალო მაჩვენებელი - 2.2).
- ✓ დებულება „სახლში გადამწყვეტი სიტყვა მხოლოდ კაცს ეკუთვნის“ უარყოფითი შეფასების ველშია ქალ რესპონდენტებს შორის (საშუალო მაჩვენებელი - 2.4), ხოლო საშუალო შეფასების ველშია კაც რესპონდენტებს შორის (საშუალო მაჩვენებელი - 2.9). ეს ნიშნავს, რომ ქალი რესპონდენტები უფრო ხშირად არ ეთანხმებიან აღნიშნულ დებულებას.
- ✓ დებულება „კაცებს უფრო მეტად სჭირდებათ სექსი, ვიდრე ქალებს“ უარყოფითი შეფასების ველშია კაც რესპონდენტებს შორის (საშუალო მაჩვენებელი - 2.0), ხოლო საშუალო შეფასების ველშია ქალ რესპონდენტებს შორის (საშუალო მაჩვენებელი 2.7). საინტერესოა, რომ აღნიშნულ დებულებას ქალები უფრო ხშირად ეთანხმებიან, ვიდრე მამაკაცები და ამ გზით, თავადვე ახდენენ საკუთარი თავის დისკრიმინაციას და საკუთარი სექსუალობის ტაბუირებას.
- ✓ დებულებას „კაცმა და ქალმა ერთად უნდა გადაწყვიტონ, რა სახის კონტრაცეპტივს (ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას) გამოიყენებენ“ ქალი

რესპონდენტები უფრო ხშირად აფასებენ დადებითად, ვიდრე კაცი რესპონდენტები, რაც ნიშნავს, რომ გამოხატავენ მზაობას გადაწვეტილების ერთად მიღების მიმართ, კაცებისგან განსხვავებით.

დანარჩენი დებულებების მიმართ მამრობითი და მდედრობითი სქესის რესპონდენტებმა თითქმის მსგავსი განწყობები დააფიქსირეს (იხ. ცხრილი №4.1).

ცხრილი №4.1

N	დებულებები	მდედრობითი	მამრობითი	სულ
1.	ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა	3.4	3.3	3.4
2.	კარგი ცოლი ემორჩილება ქმარს/პარტნიორს მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმება	2.5	2.8	2.6
3.	ქალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შექმნას ოჯახი და გააჩინოს შვილები, მამაკაცისათვის – გაიკეთოს კარიერა და იშოვოს ფული	2.6	2.8	2.6
4.	ოჯახი უნდა შეინარჩუნო ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ქმარი ძალადობს ცოლზე	1.7	2.2	1.8
5.	ქალებისათვის უფლებების მინიჭება ნიშნავს, რომ კაცები კარგავენ უფლებებს	1.7	1.8	1.7
6.	სამსახურში მამაკაცის აყვანა სჯობს, ვიდრე ქალის, რადგან მამაკაცს უფრო ხარისხიანად შეუძლია საქმის კეთება ქალთან შედარებით	2.0	2.3	2.0
7.	უნდა დავემორჩილოთ ადათ–წესებს, რომელთა მიხედვითაც ქალისა და კაცის თანასწორობა დაუშვებელია	2.3	2.9	2.4
8.	ჩვეულებრივ, ქალები უფრო იმსახურებენ ცემას, ვიდრე მამაკაცები	1.4	1.6	1.5
9.	ბავშვების მოვლა მხოლოდ დედების პასუხისმგებლობაა	1.9	1.7	1.8
10.	მხოლოდ ქალები არიან პასუხისმგებელი თავი დაიცვან არასასურველი ორსულობისგან	1.9	2.0	1.9
11.	სახლში გადამწყვეტი სიტყვა მხოლოდ კაცს ეკუთვნის	2.4	2.9	2.5
12.	ქალმა უნდა მოითმინოს სიტყვიერი შეურაცხყოფა რათა შეინარჩუნოს ოჯახი	2.7	2.8	2.7
13.	ქალმა უნდა მოითმინოს ფიზიკური შეურაცხყოფა რათა შეინარჩუნოს ოჯახი	1.7	1.6	1.7
14.	ქალებს იმიტომ აუპატიურებენ, რომ ისინი გაუფრთხილებლობით თავად იგდებენ საკუთარ თავს ამ სიტუაციაში	1.9	1.7	1.9
15.	თუკი ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ სწევდა, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილი ჰქონდა გაუპატიურებას	2.4	2.2	2.4
16.	კაცებს უფრო მეტად სჭირდებათ სექსი, ვიდრე ქალებს	2.7	2.0	2.5
17.	ჩემთვის მიუღებელი იქნება, თუ ცოლი/ქმარი მომთხოვს კონდომის (პრეზერვატივის) გამოყენებას	2.2	2.4	2.3
18.	კაცმა და ქალმა ერთად უნდა გადაწყვიტონ, რა სახის კონტრაცეპტივს (ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას) გამოიყენებენ	3.4	2.7	3.2

დებულებების მიმართ მსგავსი განწყობა სქესობრივ ჭრილში კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ქალებს არ აქვთ ხმა, ნება და სურვილი, არა მხოლოდ დაიცვან საკუთარი უფლებები, არამედ გამოხატონ საკუთარი აზრები ღიად და დაუპირისპირდნენ არსებულ წესრიგს. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქალები ხშირად თავად არიან საკუთარი დისკრიმინაციის ხელშემწყობები.

დებულებების გარდა, რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ქალთა პოლიტიკური აქტივობა საქართველოში და დაეფიქსირებინათ მოსაზრება იმასთან დაკავშირებით,

უნდა იყოს თუ არა ქალი უფრო აქტიური, ვიდრე დღესაა, თუ უფრო პასიური. ზოგადი სურათიდან ნათლად ჩანს, რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ფიქრობს, რომ პარლამენტში პოლიტიკოსებსა და სკოლის დირექტორებს შორის უფრო მეტი ქალი უნდა იყოს, ვიდრე დღესაა. გამოკითხულთა მეხუთედი მიიჩნევს, რომ იმდენი მინისტრი ქალი უნდა ჰყავდეს ქვეყანას, რამდენიც დღეს ჰყავს. 23% ფიქრობს, რომ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს შორის უფრო ნაკლები ქალი უნდა იყოს, ვიდრე ამჟამადაა. რესპონდენტთა 14-20% ფიქრობს, რომ არ აქვს მნიშვნელობა ჩამოთვლილი თანამდებობის პირების სქესს (იხ. ცხრილი №4.2).

ცხრილი №4.2

საქართველოში, მნიშვნელოვან თანამდებობებზე მყოფ იმ ადამიანთა შორის, რომლებიც საპასუხიმგებლო გადაწყვეტილებებს იღებს, უნდა იყვნენ თუ არა უფრო მეტი ქალები ვიდრე ამჟამად არიან? (სულ)	**უფრო მეტი ქალი, ვიდრე ამჟამად**	**იმდენივე ქალი, რამდენიც ამჟამად**	**ნაკლები ქალი, ვიდრე ამჟამად**	**ამას საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა**	**მიჭირს პასუხის გაცემა**
პოლიტიკოსები პარლამენტში	48.8%	16.6%	13.8%	18.9%	1.8%
მინისტრები	45.2%	20.3%	17.5%	14.7%	2.3%
ფირმის ხელმძღვანელები	42.4%	16.6%	16.6%	19.8%	4.6%
სკოლის დირექტორები	48.4%	18.0%	14.7%	16.1%	2.8%
ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები (ქალაქების მერები, რეგიონების ხელმძღვანელები, სხვ)	42.4%	14.7%	23.0%	17.1%	2.8%

ქალი რესპონდენტების ნახევარი მიიჩნევს, რომ პარლამენტში უფრო მეტი ქალი უნდა იყოს, ვიდრე ამჟამადაა. 18.1% ამბობს, რომ სკოლის დირექტორებს შორის ქალთა რაოდენობა საკმარისია, 22.9% ფიქრობს, რომ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს შორის ნაკლები ქალი უნდა იყოს, ვიდრე ახლაა (იხ. ცხრილი №4.3).

ცხრილი №4.3

საქართველოში, მნიშვნელოვან თანამდებობებზე მყოფ იმ ადამიანთა შორის, რომლებიც საპასუხიმგებლო გადაწყვეტილებებს იღებს, უნდა იყვნენ თუ არა უფრო მეტი ქალები ვიდრე ამჟამად არიან? (მდედრობითი სქესის წარმომადგენლების პასუხები)	**უფრო მეტი ქალი, ვიდრე ამჟამად**	**იმდენივე ქალი, რამდენიც ამჟამად**	**ნაკლები ქალი, ვიდრე ამჟამად**	**ამას საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა**	**მიჭირს პასუხის გაცემა**
პოლიტიკოსები პარლამენტში	50.6%	12.7%	12.0%	22.9%	1.8%
მინისტრები	45.8%	17.5%	16.9%	18.1%	1.8%
ფირმის ხელმძღვანელები	42.2%	14.5%	16.3%	22.3%	4.8%
სკოლის დირექტორები	46.4%	18.1%	15.1%	18.7%	1.8%
ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები (ქალაქების მერები, რეგიონების ხელმძღვანელები, სხვ)	39.2%	14.5%	22.9%	21.1%	2.4%

რაც შეეხება გამოკითხულ მამაკაცებს, მათგან ნახევარზე მეტის მოსაზრებით, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებსა და სკოლის დირექტორებს შორის მეტი

ქალი უნდა იყოს, ვიდრე ახლაა. რესპონდენტების 30%-მდე მიიჩნევს, რომ პარლამენტში და მინისტრის თანამდებობაზე იმდენივე ქალი უნდა იყოს, რამდენიც ახლაა. მათი 11.8%-ის აზრით, არ აქვს მნიშვნელობა, ფირმის ხელმძღვანელი ქალი იქნება თუ კაცი (იხ. ცხრილი №4.4).

ცხრილი №4.4

საქართველოში, მნიშვნელოვან თანამდებობებზე მყოფ იმ ადამიანთა შორის, რომლებიც საპასუხიმგებლო გადაწყვეტილებებს იღებს, უნდა იყვნენ თუ არა უფრო მეტი ქალები ვიდრე ამჟამად არიან? (მამრობითი სქესის წარმომადგენლების პასუხები)	**უფრო მეტი ქალი, ვიდრე ამჟამად**	**იმდენივე ქალი, რამდენიც ამჟამად**	**ნაკლები ქალი, ვიდრე ამჟამად**	**ამას საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა**	**მიჭირს პასუხის გაცემა**
პოლიტიკოსები პარლამენტში	43.1%	29.4%	19.6%	5.9%	2.0%
მინისტრები	43.1%	29.4%	19.6%	3.9%	3.9%
ფირმის ხელმძღვანელები	43.1%	23.5%	17.6%	11.8%	3.9%
სკოლის დირექტორები	54.9%	17.6%	13.7%	7.8%	5.9%
ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები (ქალაქების მერები, რეგიონების ხელმძღვანელები, სხვ)	52.9%	15.7%	23.5%	3.9%	3.9%

შედეგად:

- ✓ ქალების ნახევარი მიიჩნევს, რომ პარლამენტში მეტი ქალი უნდა იყოს, ვიდრე ამჟამადაა, ხოლო კაცების ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ სკოლის დირექტორებსა და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს შორის უნდა იყოს მეტი ქალი, ვიდრე ახლაა. ეს მიუთითებს, რომ კაცები უფრო იშვიათად ხედავენ ქალებს პოლიტიკურ თანამდებობებზე, ვიდრე ქალები;
- ✓ ამასვე ადასტურებს კაცების თითქმის 30%-ის მოსაზრება, რომ პარლამენტში და მინისტრების თანამდებობებზე იმდენივე ქალი უნდა იყოს, რამდენიც დღეს არის.
- ✓ როგორც მამაკაცების, ასევე ქალების დაახლოებით მეოთხედის აზრით, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს შორის ნაკლები ქალი უნდა იყოს, ვიდრე დღესაა;
- ✓ მონაცემები მიუთითებს იმაზეც, რომ ქალი რესპონდენტები უფრო ხშირად ფიქრობენ, რომ ჩამოთვლილი თანამდებობებისთვის ადამიანის სქესს მნიშვნელობა არ აქვს.

V. ქონებრივი ურთიერთობები და ოჯახში კონფლიქტები

5.1 ქონებრივი ურთიერთობები

აღნიშნული ბლოკი ეხებოდა გენდერულ განაწილებას საკუთრების სფეროში. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად ქონების მესაკუთრეები რესპონდენტთა მამრობითი სქესის შვილები არიან. ქალი რესპონდენტები ყველაზე ხშირად სწორედ ამას პასუხობენ, როცა კაცი რესპონდენტები ყველაზე ხშირად ამბობენ, რომ მათი მეუღლეები არიან ქონების რესპონდენტები. ქალი რესპონდენტების პასუხების მიხედვით, 43.5% შემთხვევაში, მესაკუთრე მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, 51.4% შემთხვევაში - მესაკუთრე მამრობითი სქესის წარმომადგენელია. კაცი რესპონდენტების მიხედვით, 51.9% შემთხვევაში, ქონების მესაკუთრე ქალია, ხოლო 40.8% შემთხვევაში - კაცი. რაც შეეხება საერთო სურათს, აქ, 45.8% შემთხვევაში, ქონების მესაკუთრე ქალია, ხოლო 48.5% შემთხვევაში - კაცი. ქალი რესპონდენტების 15.7% და კაცი რესპონდენტების 11.1% თავადაა ქონების მესაკუთრე (იხ. ცხრილი №5.1).

ცხრილი №5.1

ოჯახის რომელი წევრია ქონების მესაკუთრე?		მდედრობითი	მამრობითი	სულ
მდედრობითი სქესის ოჯახის წევრი	მეუღლე	-	33.3%	9.3%
	მშობელი	10.0%	13.0%	10.8%
	შვილი	15.7%	5.6%	12.9%
	დედმამიშვილი	2.1%	-	1.5%
	თავად ვარ მესაკუთრე	15.7%	-	11.3%
მამრობითი სქესის ოჯახის წევრი	მეუღლე	15.0%	-	10.8%
	მშობელი	10.0%	9.3%	9.8%
	შვილი	21.4%	14.8%	19.6%
	დედმამიშვილი	5.0%	5.6%	5.2%
	თავად ვარ მესაკუთრე	-	11.1%	3.1%
ქონება ყველასია		-	5.6%	1.5%
მიჭირს პასუხის გაცემა		4.3%	-	3.1%

ქონებას, ზოგჯერ, ერთზე მეტი მესაკუთრე ჰყავს. იმ რესპონდენტებს, რომელთა ქონებასაც თანამესაკუთრეები ჰყავდა, უნდა დაესახელებინათ თანამესაკუთრეთა სქესი. ამ კითხვას უპასუხა 109 რესპონდენტმა - 77-მა ქალმა და 32-მა კაცმა. ყველაზე ხშირად, ქონების თანამესაკუთრეები არიან მამრობითი სქესის შვილები. 43.5% შემთხვევებში ქონების თანამესაკუთრეები არიან მდედრობითი სქესის ოჯახის წევრები, ხოლო 49.3% შემთხვევებში, მამრობითი სქესის ოჯახის წევრები (იხ. ცხრილი №5.2).

ცხრილი №5.2

ოჯახის რომელი წევრები არიან თქვენთან ერთად ქონების თანამესაკუთრეები?		მდედრობითი	მამრობითი	სულ
მდედრობითი სქესის ოჯახის წევრი	მეუღლე	-	30.5%	8.5%
	მშობელი	10.5%	11.9%	10.9%
	შვილი	14.5%	5.1%	11.8%
	დედმამიშვილი	2.0%	-	1.4%
	თავად ვარ მესაკუთრე	15.1%	-	10.9%
მამრობითი სქესის ოჯახის წევრი	მეუღლე	15.8%	-	11.4%
	მშობელი	9.9%	11.9%	10.4%
	შვილი	20.4%	13.6%	18.5%
	დედმამიშვილი	5.3%	5.1%	5.2%
	შვილიშვილი	0.7%	1.7%	0.9%
	თავად ვარ მესაკუთრე	-	10.2%	2.8%
ქონება ყველასია		-	5.1%	1.4%
უარი პასუხზე		0.7%	-	0.5%
მიჭირს პასუხის გაცემა		5.3%	5.1%	5.2%

რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ქონება თანაბრადაა განაწილებული თანამესაკუთრეებს შორის. საინტერესოა, რომ კაცი რესპონდენტები უფრო ხშირად აფიქსირებენ ამ მოსაზრებას, ვიდრე ქალი რესპონდენტები (იხ. ცხრილი №5.3).

ცხრილი №5.3

არის თუ არა ქონება თანაბრად განაწილებული თქვენსა და სხვა თანამესაკუთრე(ებ)ს შორის?	მდედრობითი	მამრობითი	სულ
დიახ, თანაბრადაა განაწილებული	63.6%	75.0%	67.0%
ქონების თითოეული თანამესაკუთრე მეტ წილს ფლობს, ვიდრე მე	10.4%	3.1%	8.3%
ქონების რომელიმე (ერთ-ერთი თანამესაკუთრე) მეტ წილს ფლობს, ვიდრე მე	11.7%	-	8.3%
მე მეტ წილს ვფლობ, ვიდრე ქონების თითოეული თანამესაკუთრე	3.9%	18.8%	8.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	10.4%	3.1%	8.3%

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ თანახმა იყო ქონების ამგვარ განაწილებაზე. აბსოლუტური უმრავლესობა ასევე აღნიშნავს, რომ ოჯახის სხვა წევრებიც თანახმანი იყვნენ ქონების ასეთ განაწილებაზე (იხ. დიაგრამა №5.1)

დიაგრამა №5.1



5.2. ურთიერთობები და კონფლიქტები ოჯახში

გამოკითხულთა 90.5%-ს ოჯახთან დაკავშირებული ჩამოთვლილი პრობლემები არ შექმნია. მამრობითი სქესის წარმომადგენლებიდან მხოლოდ ერთ რესპონდენტს ჰქონია ქონებრივი დავა ჰქონია ოჯახის სხვა წევრებთან. რაც შეეხება ქალ რესპონდენტებს, მათი უმრავლესობის განცხადებით, არ შექმნიათ ჩამოთვლილი პრობლემები. რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს ბავშ(ებ)ის ალიმენტთან დაკავშირებულ პრობლემებზე ან ქონებრივ პრობლემებზე ოჯახის სხვა წევრებთან (იხ. დიაგრამა №5.2).

დიაგრამა №5.2



რაც შეეხება ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კაცებიდან მხოლოდ ერთ რესპონდენტს განუცდია ფიზიკური ძალადობა მეუღლის მხრიდან. ქალი რესპონდენტების 78.9%-ს ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები არ შექმია (131 რესპონდენტი), თუმცა მეათედს უგრძვნია მორალური/ფსიქოლოგიური ძალადობა მეუღლის მხრიდან (18 რესპონდენტი), ხოლო 7.2%-ს (12 რესპონდენტი) ფიზიკური ძალადობა მეუღლის მხრიდან (იხ. დიაგრამა №5.3).

დიაგრამა №5.3



ეს ნიშნავს, რომ სულ (ქონებრივი, ოჯახური და ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები) დაფიქსირდა 61 სამართლებრივი პრობლემა 38 ქალი რესპონდენტის მიერ და 2 სამართლებრივი პრობლემა 2 კაცი რესპონდენტის მიერ. კაცმა რესპონდენტებმა პრობლემის აღმოსაფხვრელად მიმართეს უხუცეს კაცთა საბჭოს ან სცადეს მეორე მხარესთან მორიგება. რაც შეეხება ქალ რესპონდენტებს, მათგან მეოთხედზე მეტმა (16 რესპონდენტი) არაფერი მოიმოქმედა პრობლემის აღმოსაფხვრელად. 8 რესპონდენტმა მიმართა პოლიციას, სასამართლოს ან იურისტს, 8-მ - ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს ან მეზობლებს, თერთმეტმა კი სცადა მეორე მხარესთან მორიგება (იხ. დიაგრამა №5.4).

დიაგრამა №5.4



როგორც უკვე აღინიშნა, 16-მა ქალმა რესპონდენმა არაფერი მოიმოქმედა პრობლემის აღმოსაფხვრელად. ამის მიზეზი ისაა, რომ რესპონდენტებიდან 7 ფიქრობს, რომ პრობლემა ჩარევის გარეშეც გადაიჭრება. ზოგიერთი მათგანს ეშინია კიდეც შესაძლო ზეწოლის, ხოლო ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მიმართვის შემთხვევაშიც არაფერი შეიცვლებოდა.

მონაცემები ცხადყოფს, რომ ჩამოთვლილი სამართლებრივი პრობლემა მხოლოდ 40 რესპონდენტს შეექმნა (63 პრობლემა), რომელთაგან მხოლოდ 9 რესპონდენტმა მიმართა პოლიციას. პოლიციისთვის არმიმართვის ძირითად მიზეზებად რესპონდენტები (45.8%) ასახელებენ იმას, რომ სხვადასხვა სახის დავები ადამიანებმა პოლიციის ჩარევის გარეშე უნდა გადაჭრან. ნაწილს (20.8%) პოლიციის დახმარება არ ესაჭიროებოდა.

სასამართლოს კი რესპონდენტებმა მხოლოდ 7 შემთხვევაში მიმართეს. დანარჩენებიდან უმრავლესობა (58.3%) არმიმართვის მიზეზებად იმავე შეხედულებას ასახელებს - რომ სხვადასხვა სახის დავები ადამიანებმა სასამართლოს ჩარევის გარეშე უნდა გადაჭრან. ნაწილი აცხადება (16.7%), რომ არ იცოდა მიმართვისთვის აუცილებელი სხვადასხვა სახის პროცედურების შესახებ, ხოლო ნაწილს (12.5%) სასამართლოს დახმარება არ ესაჭიროებოდა.

რაც შეეხება იურისტის დახმარებას, რესპონდენტებმა იურიდიულ კონსულტაციას მხოლოდ ოთხ შემთხვევაში მიმართეს. იურისტისთვის არმიმართვის მიზეზებად რესპონდენტები ასახელებენ, პირველ რიგში, საჭიროების არარსებობას (30.4%), ხოლო მეოთხედზე მეტმა არ იცოდა მიმართვისთვის აუცილებელი სხვადასხვა სახის

პროცედურების შესახებ (26.1%). ნაწილი მიიჩნევდა, რომ მის პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებდნენ.

40 რესპონდენტიდან უმრავლესობა (53.3%) აცხადებს, რომ მათი სამართლებრივი პრობლემა სრულიად გადაიჭრა. მესამედზე ნაკლები ამბობს, რომ ისევ ისეთი მდგომარეობაა. უმრავლესობის პრობლემა გადაჭრა, ზოგიერთ შემთვხვეაში ისევ ისეთი მდგომარეობა დარჩა (იხ. ცხრილი №5.5).

ცხრილი №5.5

ამ დროისათვის არის თუ არა გადაჭრილი აღნიშნული პრობლემა?	%
დიახ, სრულიად	53.3%
დიახ, ნაწილობრივ	13.3%
არა, ისევ ისეთი მდგომარეობაა	30.0%
არა და მდგომარეობა გაუარესდა	3.3%

რესპონდენტთა 36.8%-ის აზრით, პრობლემა თავისთავად გადაიჭრა. მეოთხედზე მეტი აცხადებს, რომ პრობლემა თავად გადაჭრა (იხ. ცხრილი №5.4).

ცხრილი №5.4

თქვენი აზრით, ვისი დახმარებით გადაიჭრა პრობლემა?	%
სასამართლოსი	10.5%
იურისტის	10.5%
სხვა პირების ან ორგანიზაციების ჩარევის შედეგად	5.3%
პრობლემა საკუთარი ძალისხმევით გადავჭერი	26.3%
პრობლემა თავისთავად გადაიჭრა	36.8%
მიჭირს პასუხის გაცემა	10.5%

ქალი რესპონდენტების 40.9% აცხადებს, რომ აღწერილ სამართლებრივ პრობლემას არ გამოუწვევია ჯანმრთელობის პრობლემა. მეხუთედზე მეტი ამბობს, რომ გამოიწვია ნერვულ სტრესთან დაკავშირებული პრობლემები (იხ. დიაგრამა №5.7).

დიაგრამა №5.7


T qven mi er aR wer i l na samar T l ebr i vna pr o bl enamxo mar gamo i wvi a T qveni an T qveni o j axi s wevr i s r o mel i ne qveno T Gamo T vi l i l i d amat ebi T i pr o bl ema?
f i z i kur i avad myo f o ba
4.3%
ner vi ul st r esT an d akavSi r ebul i pr o bl emebi
21.7%
qo nebi s d az i aneba
2.2%
T avd aj er ebul o bi s d akar gva
2.2%
Si Si
2.2%
o j axur i ur T i er T o bebi s gauar eseba
4.3%
bi ni s d akar gva
8.7%
ar gamo uwvevi a d amat ebi T i pr o bl ema
43.5%
mi W r s pasuxi s gacema
10.9%

VI. ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები და თერაპიის აგენტები; მამაკაცთა მონაწილეობა მეუღლეთა ორსულობასთან და აბორტთან დაკავშირებულ პრაქტიკებში

6.1. ფიზიკური და ფსიქიკური დისკომფორტი და თერაპიის აგენტები

კვლევა არკვევდა, თუ რა სიხშირით განიცდიდნენ რესპონდენტები ბოლო 3 თვის განმავლობაში სხვადასხვა ხარისხის ფსიქიკურ თუ ფიზიკურ პრობლემებს, როგორებიცაა: სტრესი, დეპრესია, თვითმკვლელობაზე ფიქრი, წონის მატება ან კლება, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, თავის ტკივილი, სექსის სურვილის დაკარგვა.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ ყველაზე უფრო მასობრივია თავის ტკივილის პრობლემა: რესპონდენტთა 66%-მდე აღნიშნავს, რომ ბოლო 3 თვის განმავლობაში სხვადასხვა სიხშირით ტკიოდა თავი (მათ შორის, 21.7% მიუთითებს, რომ - ყოველდღე). ყველაზე უფრო იშვიათი ფსიქიკური დევიაცია თვითმკვლელობაზე ფიქრია: რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (86.2%) აცხადებს, რომ არასოდეს უფიქრიათ თვითმკვლელობაზე. რაც შეეხება სხვა დევიაციებს (სტრესი, დეპრესია, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, სექსის სურვილის დაკარგვა), მათზე მიუთითებს რესპონდენტთა 24-40%-ის ფარგლებში (სხვადასხვა სიხშირით).

დეტალურად მონაცემები მოცემულია ცხრილში #6.1:

ცხრილი #6.1

ბოლო 3 თვის განმავლობაში რა სიხშირით გამოცადეთ შემდეგი:	თითქმის ყოველდღე	კვირაში ერთხელ	თვეში რამდენჯერმე	უფრო იშვიათად	არასოდეს	მიჭირს პ/გ
სტრესი	7.4%	3.7%	5.5%	21.7%	53.9%	7.8%
დეპრესია	3.7%	4.1%	3.7%	12.9%	67.3%	8.3%
თვითმკვლელობაზე ფიქრი	-	0.5%	0.9%	4.1%	86.2%	8.3%
წონის მატება ან კლება	2.8%	1.4%	13.4%	19.4%	55.3%	7.8%
კუჭ-ნაწლავის პრობლემები	7.8%	2.3%	2.8%	7.8%	71.4%	7.8%
თავის ტკივილი	21.7%	9.2%	18.0%	17.1%	26.7%	7.4%
სექსის სურვილის დაკარგვა	11.1%	1.8%	3.2%	9.7%	57.6%	16.6%

გამოკითხვა აჩვენებს, რომ გამოკითხულთათვის ერთგვარი ფსიქიკური და სოციალური თერაპიის ფუნქციას, ძირითადად, პირველადი ჯგუფის წევრები ასრულებენ, როგორიცაა მეუღლე, ოჯახის წევრები, ახლო ნათესავები და მეგობრები. სწორედ ეს ქვეჯგუფები სახელდება რესპონდენტთა მიერ დამხმარედ მოწყენილობის/იმედგაცრუების გასანეიტრალებლად/გადასალახად.

მეორე მხრივ, ყოველი მეხუთე გამოკითხული აღნიშნავს, რომ არ მიმართავს სხვებს და დამოუკიდებლად უმკლავდება ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

დეტალურად შედეგები იხ. დიაგრამაზე #6.1:

დიაგრამა #6.1



ფიზიკური და ფიზიკური დისკომფორტის, აგრეთვე, თერაპიის აგენტების თვალსაზრით განსხვავებები სქესის ჭრილში არ იკვეთება.

6.2. მამაკაცების მონაწილეობა მეუღლეთა ორსულობასთან და აბორტთან დაკავშირებულ პრაქტიკებში

გამოკითხვა აჩვენებს, რომ დაოჯახებული მამაკაცების როგორც ინფორმირებულობა, ისე მონაწილეობა მეუღლის ორსულობასთან და აბორტთან დაკავშირებულ პრაქტიკებში მწირია: გამოკითხვაში მონაწილე 38 დაოჯახებული მამაკაციდან მხოლოდ 3-ს (7.9%) აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ მეუღლეს აბორტი აქვს გაკეთებული. უმრავლესობა (65.8%, ანუ 25 მამაკაცი) აცხადებს, რომ მათ მეუღლეს აბორტი არასოდეს გაუკეთებია, ხოლო 26.3%-მა (10 მამაკაცი) არაფერი იცის ამის შესახებ.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აბორტის გაკეთების მიზეზი ნაყოფის არასასურველი სქესი იყო. კერძოდ, გამოკითხული დაოჯახებული ქალების 8.8% აცხადებს, რომ გაუკეთებია აბორტი ამ მიზეზით, ხოლო, მამაკაცების 7.9% ადასტურებს იმავე გამოცდილებას მათ მეუღლეებში. საგულისხმოა, რომ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავს იკავებს ქალების 11%, ხოლო მამაკაცების 29%-მდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არასასურველი სქესის გამო აბორტების რეალური რაოდენობა გაცხადებულზე უფრო მეტი უნდა იყოს.

ბავშვის სქესი რომ აქტიურად მონაწილეობს რესპონდენტთა ოჯახების კვლავწარმოებაში, იმითაც დასტურდება, რომ ქალების 20% და მამაკაცების 15.2% ადასტურებს ბავშვის გაჩენის მოტივაციად ოჯახში სასურველი სქესის ბავშვის არყოლას.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად იყვნენ ჩართულნი მამაკაცები მათი მეუღლეების ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებულ პრაქტიკებში, გამოკითხვა აჩვენებს, რომ:

- დაოჯახებულ მამაკაცთა უმრავლესობა (59%-მდე) არასოდეს დაყვებოდა მეუღლეს ექიმთან ორსულობის პერიოდში (მამაკაცთა 20.6% ამ შეკითხვას უპასუხოდ ტოვებს, ხოლო იმ მამაკაცთა ხვედრით წილი, რომელიც აცხადებს, რომ ორსულ მეუღლეს დაყვებოდა ექიმთან ასევე 20.6%-ია).
- დაოჯახებულ და შვილიან მამაკაცთა უმრავლესობა (58.8%) არასოდეს დასწრებია შვილის დაბადებას სამშობიარო ბლოკში (ასე მხოლოდ ყოველი მეხუთე დაოჯახებული მამაკაცი მოიქცა, ამდენივემ უარი განაცხადა პასუხზე).

დეტალურად გამოკითხვის შედეგები იხ. დიაგრამაზე #6.2:

დიაგრამა #6.2


d ahyvebo d i T T u ar a T qvens meuR l es/par t ni o r s eqi mT an o r sul o bi s per i o d Si
20.6%
58.8%
20.6%
eswr ebo d i T T u ar a T qveni Svi l i s d abad ebas samSo bi ar o bl o kSi
20.6%
58.8%
20.6%
d i ax
ar a
uar i pasuxz e

VII. დამოკიდებულება ტრადიციული/კონსერვატული პრაქტიკების მიმართ

მონაცემები აჩვენებს, რომ ზოგიერთი ტრადიციული/კონსერვატული პრაქტიკების მიმართ როგორც მამაკაცები, ისე ქალები თანაბრად რეზისტენტულნი არიან, თუმცა, აღმოჩნდა, რომ არსებობს ისეთი ტრადიციებიც, რომელთა მიმართ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, გაცილებით შეურიგებელნი არიან. უფრო კონკრეტულად:

- როგორც ქალების, ისე მამაკაცების დიდი უმრავლესობა (შესაბამისად, 91.6% და 82.4%) სავსებით უარყოფითად აფასებს წესს, რომლის თანახმადაც მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქვრივებს ოჯახის სხვა წევრზე (მეუღლის ძმაზე) ან მეუღლის მეგობარზე აქორწინებენ. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულ მამაკაცთა 10%-ს ეს წესი სავსებით მისაღებად მიაჩნია (ქალებს შორის ამ წესის დადებითად შემფასებელი არავინაა).
- ქალების და მამაკაცების პოზიციები ერთმანეთს დიამეტრალურად დაშორდა იმ წესის შეფასებათან მიმართებაში, რომლის თანახმადაც კაცებისთვის ნებადართულია ერთზე მეტი ცოლის შერთვა; ქალების გამოკვეთილი უმრავლესობა (70%-მდე) ამ წესს სავსებით უარყოფითად აფასებს, მაშინ როდესაც მამაკაცთა ჯგუფში ასეთი პოზიცია მხოლოდ 29.4%-ს აქვს. შესაბამისად, მამაკაცთა შორის დაახლეობით ნახევარი (49%) აღნიშნულ წესს სავსებით დადებითად ან უფრო დადებითად აფასებს, მაშინ როდესაც ქალებს შორის დადებითად შემფასებელთა წილი 9.6%-ია.
- როგორც ქალების, ისე მამაკაცების უმრავლესობა ეწინააღმდეგება ახალგაზრდების სირიაში მიგრაციას (ჯიჰადში წასვლას), თუმცა, ქალები უფრო შეურიგებელნი არიან ამ თვალსაზრისით, ვიდრე მამაკაცები: ქალების გამოკვეთილი უმრავლესობა (72.3%) აღნიშნულ პრაქტიკას სავსებით უარყოფით შეფასებას აძლევს (მამაკაცებში იგივე პოზიცია აქვს დაახლოებით 57%-ს).
- როგორც ქალების, ისე მამაკაცების უმრავლესობა უხუცესთა საბჭოს საქმიანობას დადებითად აფასებს („სავსებით დადებითად“, ან „უფრო დადებითად“); თუმცა, საინტერესოა, რომ საშუალოდ ყოველი მეხუთე ქალი და მამაკაცი ამ ინსტიტუტის მიმართ „ნეიტრალურ“ შეფასებას გამოთქვამს.

დეტალურად გამოკითხვის შედეგები იხ. ცხრილში #7.1:

ცხრილი #7.1

ტრადიციული პრაქტიკები/ინსტიტუტები		ქალები	მამაკაცები
როგორ შეაფასებთ წესს, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქვრივებს ოჯახის სხვა წევრზე (მეუღლის ძმაზე) ან მეუღლის მეგობარზე აქორწინებენ?	სავსებით უარყოფითად	91.6%	82.4%
	უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად	5.4%	3.9%
	ნეიტრალურად	1.2%	2.0%
	სავსებით დადებითად		9.8%
	მიჭირას პასუხის გაცემა	1.8%	2.0%
როგორ შეაფასებთ, წესს, რომ კაცებისთვის ნებადართულია ერთზე მეტი ცოლის შერთვა	სავსებით უარყოფითად	69.9%	29.4%
	უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად	9.6%	5.9%
	ნეიტრალურად	9.6%	15.7%
	უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად	3.6%	15.7%
	სავსებით დადებითად	6.0%	33.3%
	მიჭირას პასუხის გაცემა	1.2%	
როგორ შეაფასებდით ახალგაზრდების მიგრაციას სირიაში (ჯიჰადში წასვლას)	სავსებით უარყოფითად	72.3%	56.9%
	უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად	10.8%	5.9%
	ნეიტრალურად	8.4%	23.5%
	უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად	4.2%	3.9%
	სავსებით დადებითად	3.0%	9.8%
	მიჭირას პასუხის გაცემა	1.2%	
როგორ შეაფასებდით უხუცესთა საბჭოს საქმიანობას	სავსებით უარყოფითად	6.0%	3.9%
	უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად	3.0%	3.9%
	ნეიტრალურად	20.5%	23.5%
	უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად	26.5%	17.6%
	სავსებით დადებითად	42.8%	49.0%
	მიჭირას პასუხის გაცემა	1.2%	2.0%

როგორც მამაკაცების ფოკუს ჯგუფზე ითქვა, უხუცესთა საბჭოს მთელი პანკისის ხეობა ირჩევს, თითოეული გვარის წარმომადგენელი. ამჟამად არჩეულია 35 წევრი მამაკაცი. უხუცესთა საბჭო ირჩევს გამგეობას 9-11 წევრის შემადგენლობით, ხოლო გამგეობა ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს. გამგეობა იკრიბება მაშინ, როდესაც სერიოზული საკითხებია განსახილველი, წელიწადში ორჯერ მაინც. საბჭო განიხილავს კონფლიქტებს ოჯახებში, გვარებს შორის დავას ვალის დაბრუნებაზე, ქონებაზე და ა.შ. უხუცესთა საბჭოს მჭიდრო კონტაქტი აქვს სახალხო დამცველის ოფისთან, მთავრობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თუ გვარი ვერ მოაგვარებს ამა თუ იმ პრობლემას, ამის შემდეგ მიმართავენ საბჭოს. საბჭო უფლებამოსილია გაესაუბროს მხარეებს, ჭკუა დაარიგოს და გაკიცხოს. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო ვერ აგვარებს პრობლემას, ამ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ. ცუდ საქციელად ითვლება, თუ პირი პირდაპირ სასამართლოს მიმართავს უხუცესთა საბჭოს გვერდის ავლით. ქალების ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა, რომ ცუდია უხუცესთა საბჭოში ერთი ქალიც რომ არ არის - „უხუცესთა საბჭო განიხილავს ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობას და სხვა საკითხებს. ამ საბჭოში არ არის არც ერთი ქალი, არადა ბევრი საკითხი სწორედ ჩვენ გვეხება. უხუცესთა საბჭოში სულ ორი ქალი იყო 1990-იან წლებში“. უხუცესთა საბჭოში შედარებით

ახალგაზრდას არ ირჩევენ, საბჭოს წევრთა ასაკი 70-დან 80-მდე მერყეობს. საინტერესოა, რომ უხუცესთა საბჭოს პარალელურად ფუნქციონირებს ქალთა საბჭოც, რომელიც ქალთა და ბავშვთა საკითხებს განიხილავს. რა თქმა უნდა, ქალთა საბჭოს გავლენა გაცილებით ჩამორჩება უხუცესთა საბჭოს გავლენას, თუმცა, ქალთა საბჭოსაც აქვს ავტორიტეტი - „მაგალითად, როცა მამა არ აჩვენებს დედას ბავშვს, ჩვენ ვცდილობთ ჩავერიოთ და ავუხსნათ მამას, ჩარევას უფრო მეტად აქვს შედეგი, ჩვენ გვაქვს ავტორიტეტი“, აღნიშნავს ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე ქალი.